№10(11) 15.03.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი


## ნომერში:

**სევილიის ქერქვეშ**

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

მე-3 გვერდი

**სამი ზოლი და სამი ფოთოლი**



დაგვემშვიდობება „ადიდასი“?

მე-4 გვერდი

**უკრაინული ფეხბურთი**

ნაბიჯი არსაით...

მე-7 გვერდი

**ოპტიმისტი ივან ლენდლი**

უიმბლდონი და... ტკეპები

მე-8 გვერდი








ხვალ დაიწყება საქართველოს მეორე ჩემპიონატი ფეხბურთში, ფორმულა 1 ავტომრბოლთა მსოფლიო ჩემპიონატმა კი ორმოცდამეორედ აიღო სტარტი. ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს პირველი ქულები ხვალ დაერიცხებათ, ბრაზილიელმა პილოტმა აირტონ სენამ კი პირველ ეტაპზე გამარჯვებით უკვე მოიპოვა 10 ქულა.

## პირველი ნაბიჯი გადაიდგა

საქმეს კარგი პირი უჩანს: „სარბიელის“ ინიციატივით გამართულ სპორტულ ჟურნალისტთა ამასწინდელ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ აუცილებელია სპორტულ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის ჩამოყალიბება. გადაიდგა პირველი ნაბიჯიც — შეიქმნა შვიდკაციანი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს დამფუძნებელი კონფერენციის მომზადებას.

## კენჭისყრა

მართალია, კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატამდე (12-17 ივნისი) ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ უკვე გაიმართა ფინალურ ტურნირში მონაწილე გუნდების წილისყრა. პირველი ჯგუფი: ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, ისრაელი. მეორე ჯგუფი: იტალია, იუგოსლავია, პოლონეთი, სსრკ.

## ხომ არ აღგვედგინა?

### სააღდგომო ბურთაობა

ახლა, როცა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული — აღდგომა კარს მოგვდგომია, ხომ არ აღგვედგინა სახალხო ტრადიცია, რომელიც ჩვენში მაშინ მოქმედებდა, როცა ერი ერობდა, ბერი კი — ბერობდა.

სააღდგომო ბურთაობაზე მოგახსენებთ. პაპისპაპათაგან ჩვენამდე გადმოცემით მოუღწევია, რომ აღდგომა დღეს მთელს საქართველოში, მეტადრე კი — გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში ხალხი ტაძრის ეზოში შეიკრიბებოდა, მღვდელი კი ეკლესიიდან ნაკურთხ ბურთს გამოიტანდა, მრევლს დალოცავდა და ბურთს სათამაშოდ გადაუგდებდა. ამასვე მოწმობს XIX საუკუნის ქართულ პრესაში — „ივერიასა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებული სააღდგომო მიმოხილვები.

აი, ამიტომ ხომ არ გაგვეხსენებინა დღეს ძველი წესი და აღდგომას ლელობურთი, ანაც მათი „შთამომავლები“ —ჯერ რაგბი და შემდეგ ფეხბურთი გაგვემართა.

თქვენ რაღას იტყვით, მამანო?



გუშინ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სახლში ეწვია ლოგინად ჩავარდნილ ახალგაზრდას, გიორგი რთველიაშვილს, ყოფილ ძიუდოისტს, რომელსაც შეჯიბრებაზე მიღებულმა ტრავმამ წაართვა მოძრაობის უნარი. „დღეს, საეკლესიო კალენდრით, გაზაფხულის პირველი დღეა, გაზაფხულს იმედები და სიხარული მოაქვს — ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა, — ღმერთმა დაგლოცოს, რწმენა არ დაგეკარგოს“... მწოლიარეს კი დიდ ნუგეშად დაუტოვა თავისი ლოცვა-კურთხევა, ბიბლია და სანთლები.


**კავკასიონი**

სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „კავკასიონსა“ და თავისუფალ სპორტულ გაზეთ „სარბიელს“ შორის დღეიდან მეგობრობისა და ურთიერთთანადგომის საფუძველი ჩაეყარა. ეს ავტორიტეტიანი ფირმა სპონსორობას გაუწევს ახალფეხადგმულ „სარბიელს“, რომელიც, თავის მხრივ, „კავკასიონის“ პროდუქციის რეკლამირებაზე იზრუნებს. [illegible] უმიტეს, რომ „კავკასიონის“ გამაგრილებელი წყლები, მართლაც, ჩემპიონთა სასმელია! „სარბიელი“ მადლობას უხდის „კავკასიონს“ ნდობისა და ყურადღებისათვის.

სარბიელი

## მე თუ მკითხავთ

ფოტოს ადგილი

## სპორტულ ჟურნალისტებს

ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა ვიფიქრეთ, რუბრიკისთვის უკეთესი სათაური ვერ მოვიფიქრეთ.

ჩვენი სურვილია, რუბრიკა სიცოცხლისუნარიანი გამოდგეს და თავისი ადგილი დაიმკვიდროს გაზეთში.

თქვენი მხარდაჭერის გარეშე, ცხადია, არაფერი გამოვა.

„სარბიელი" გთავაზობთ: გაზეთის ეს სვეტი თქვენს განკარგულებაშია.

წერილს დავბეჭდავთ დაუყოვნებლივ და „შეულამაზებლად".

თემა — ფიზკულტურა და სპორტი, საკითხი — ნებისმიერი, ოღონდ აქტუალური.

ერთი რამეც გაითვალისწინეთ: სათაურისა და ავტორის ფოტოს ადგილის გამოკლებით, ამ სვეტში დედნის დაახლოებით 35-40 სტრიქონი ეტევა.

ვინ იქნება პირველი?

ამ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალის ავტორის მოსაზრება და რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

# პრეზიდენტი და მისი ტურნირები

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის — იააფ-ის პრეზიდენტს, იტალიელ პრიმო ნებიოლოს მრავალი ოპონენტი ჰყავს, რომელიც მის მოქმედებას მაფიოზულ გაქანებას ადარებს. მაგრამ ამ საპატიო პოსტიდან დოქტორ ნებიოლოს კონკურენტებმა ძვრაც ვერ უყვეს.

რა არის ნებიოლოს ავტორიტეტის საფუძველი? პირველ რიგში, ცხადია ის, რომ მისი ხელმძღვანელობით მძლეოსნობის მთელი მსოფლიო სტრუქტურა ძლიერი და მრავალფეროვანი გახდა. შეჯიბრებათა კალენდარი გამდიდრდა უამრავი საინტერესო ტურნირით („გრან პრი"-ს სერია, მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბენაში და სხვ.). ჯერ მარტო მსოფლიო ჩემპიონატების დაწესება რად ღირს, რომელიც 1983 წლამდე მძლეოსნობაში არ არსებობდა. გაიზარდა ჰონორარები სპორტსმენებისათვის. მარჯვე და ენერგიულმა კომერსანტმა ნებიოლომ თავისი მიზნების განხორციელებაში მოხერხებულად ამოიყენა გვერდში დიდი ბიზნესი — „კოკა კოლა", „ფილიპსი", „ქენონი", „მერსედესი", „ადიდასი" და სხვა გიგანტები გაფთრებით იბრძვიან, რომ მოიპოვონ მძლეოსანთა დიდი შეჯიბრებების ოფიციალური სპონსორის ტიტული. ყველაფერ ამას დაუმატეთ ისიც, რომ პრიმო ნებიოლო არის იტალიის მძლეოსნობის ფედერაციისა და მსოფლიო საუნივერსიტეტო სპორტის ხელმძღვანელიც და ამ ენერგიული სპორტული მოღვაწის პორტრეტი თვალწინ დაგიდგებათ.

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატიც დახურულ დარბაზში იააფ-ის პრეზიდენტის ერთ-ერთი პირმშოა. ამ დღეებში, გეცოდინებათ, სევილიამ უმასპინძლა რიგით მესამე ტურნირს და ჩვენც მის შესახებ გვინდა გესაუბროთ.

რადგან ზამთრის გარდა არსებობს ზაფხულის ჩემპიონატიც, პრიორიტეტი, თანაც თვალსაჩინო, ამ უკანასკნელს ეკუთვნის. ზამთრის ჩემპიონატი როგორღაც თავისებურ ეგზოტიკურ ტურნირად რჩება, რომელშიც გამარჯვება დიდ ტიტულს (მსოფლიო ჩემპიონი ხდები) კი შეგძენს, მაგრამ დიდ სახელს — ვერა. მაგალითად, მოსკოველმა სპორტულმა მოსიარულემ მიხაილ შჩენიკოვმა გაიმარჯვა უკვე ჩატარებულ სამივე ჩემპიონატში, მაგრამ მისი სახელი ცოტა ვინმემ თუ იცის. თუ სახელგანთქმულ სპორტსმენთაგან ზოგი ამჯობინებს გამოტოვოს ზამთრის ჩემპიონატი, ზაფხულის შეჯიბრებას არავინ გააცდენს, მით უმეტეს, რომ იგი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, ხოლო ზამთრისა — ყოველ მეორე წელს.

და მაინც, დღესდღეობით მსოფლიოში იმდენი მაღალი კლასის მძლეოსანია, რომ მათი ნაწილის მონაწილეობამაც კი გრანდიოზულ შეჯიბრებად აქცია ზამთრის მესამე მსოფლიო ჩემპიონატი. თანაც სეულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მაღალი რანგის მძლეოსანთა მსოფლიო ფორუმი აღარ ჩატარებულა და ბევრი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციები სერიოზულად მოეკიდნენ სევილიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას.



განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირი, რომელიც უძლიერესი შემადგენლობით წარსდგა შეჯიბრებაზე. თითქმის სრული გუნდებით იასპარეზეს ამერიკელებმა და გერმანელებმა, მაგრამ მათ რიგებში ყველა საუკეთესო სპორტსმენი არ იყო. მაგალითად: კარლ ლუისი, როჯერ კინგდომი, ლეროი ბარელი, სანდრა ფერმერ-პატრიკი და სხვა ვარსკვლავები.

სევილიაში დამყარდა სამი მსოფლიო რეკორდი (დარბაზებისთვის), ერთი კი გაიმეორეს. ჩვენის აზრით, ამ მეოთხე შედეგს ჰქონდა განსაკუთრებული ღირებულება, რადგან იმ სამიდან ორი სპორტულ სიარულში დამყარდა, ერთი კი 4X400 მეტრზე ამანათრბენში, რომელიც დარბაზში საკმაოდ იშვიათად ტარდება. რაც შეეხება სპორტულ სიარულს, აქ უძლიერეს სპორტსმენებს თითქმის ყოველთვის შეუძლიათ დაამყარონ მსოფლიო რეკორდი, თუკი მსაჯი თვალს დახუჭავს მათ სიარულის ტექნიკაზე, რაც ხშირად ხდება ხოლმე.

თავისივე მსოფლიო რეკორდი (22,24) გაიმეორა ბრწყინვალე იამაიკელმა მორბენალმა მერლინ ოტიმ 200 მეტრიან დისტანციაზე. ყველას გასაკვირად, მან ვერ გაიმარჯვა აგრეთვე 60 მეტრზე რბენაში, სადაც ირინა სერგეევა პირველობდა, რითაც იგი დიდი სენსაციის ავტორი გახდა. ძნელი სათქმელია, დაიმკვიდრებს თუ არა მოსკოველი სპრინტერი ადგილს უძლიერესთა შორის, რადგან ასეთი ჩემპიონები, რომლებიც მხოლოდ ერთ სეზონს თუ ჩანდნენ „ხალხში", საბჭოთა კავშირში ადრეც ხშირად „ცხვებოდა".

იგივე მანძილზე მედლის გარეშე დარჩა სახელგანთქმული ბენ ჯონსონი. მისი გამოსვლა არ იყო ძველებურად დამაჯერებელი, თუმცა მედლის მოპოვება აშკარად შეეძლო. უიღბლო კანადელს, ეტყობა, გულით ეწადა გამარჯვება და ფინალში სტარტიც ნაადრევად აიღო. იგი, ცხადია, დააჯარიმეს და შემდეგ ცდაზე უკვე ფრთხილობდა (ორი ნაადრევი სტარტისთვის მძლეოსანს ხსნიან შეჯიბრებიდან). 60 მეტრ მანძილზე რბენაში კი ყველაფერს აქვს მნიშვნელობა და ჯონსონმა მხოლოდ მეოთხემ მიირბინა ფინიშთან.

შარშანდელი საოცრად წარუმატებელი სეზონის შემდეგ ჭოკით სახტომ სექტორში შეუდარებელი იყო სერგეი ბუბკა. მან 6 მეტრი სიმაღლე დაძლია, რაც საუკეთესო შედეგია მისთვის . ოფიციალურ შეჯიბრებებში, ხოლო სენსაციებიდან აღსანიშნავია ბულგარელი მორბენლის ნიკოლაი ანტონოვის გამარჯვება 200 მეტრზე რბენაში. ესეც ზამთრის შეჯიბრების კაპრიზია, რადგან ამ მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო 10 მორბენალს შორის სულ ცოტა 7-8 ამერიკელია ხოლმე, მაგრამ, როგორც ვთქვით, უძლიერესებმა შინ დარჩენა არჩიეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს სიმაღლეზე მხტომელების, ამერიკელი ჰოლის კონვეის (240 სმ) და გერმანელი ჰაიკე ჰენკელის (200 სმ) გამოსვლა.

საბოლოო შედეგებით ყველაზე მეტი მედალი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიპოვა (სადოპინგო შემოწმების შედეგები უფრო მოგვიანებით გამოქვეყნდება). მაგრამ წლეულს ყველაზე მთავარი ისაა, როგორ განაწილდება მედლები ტოკიოში, სადაც აგვისტოში უნდა ჩატარდეს მსოფლიოს მესამე „დიდი" ჩემპიონატი მძლეოსნობაში (სევილიაში გამართული ჩემპიონატის შედეგები იხილეთ „სარბიელის" მე-6 გვერდზე).



მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი პოლ ერენგი

რაგბი

# ახლა კი «ვესტა»

ერთი თვის წინ იყო, „ქორებისა" (ყოფილი „ელმავლის") და „მიმინოს" მორაგბეთა გუნდები ლამის რომ გავიდნენ ჯერარდაწყებული საქართველოს ჩემპიონატიდან. ამის მიზეზი იყო ის, რომ სტუ-ელმა „ყოჩებმა" ამ სასწავლებლის სტუდენტი ყველა მორაგბის თავისთან გადაყვანა მოიწადინეს.

საქართველოს რაგბის კავშირმაც, „ასე არ უნდაო" და ისეთი კანონი გამოსცა, „ყოჩებს" „ქორ-მიმინოების" დარბევას რომ არ დაანებებს. ამ კანონის ძალით გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლა 1992 წლის ივლისამდე შეიზღუდა.

კანონში წერია, რომ „გარეშე ძალების სარაგბო საქმეებში ჩარევის აღსაკვეთად წელს ჩემპიონატის მონაწილე ახალბედა გუნდებს სხვა გუნდებიდან შეუძლია მხოლოდ ოთხი მოთამაშის მიღება, ყველა სხვა გუნდს კი — მხოლოდ ორისა". გარდა ამისა, დასაშვებია მოთამაშეთა გაცვლაც ამ შეზღუდვების მეტადაც: კერძოდ, თუ ვთქვათ და „ყოჩები" მაინც დაიჟინებენ და მეტ „ქორს" მოითხოვენ, მაშინ მათ ყოველ წამოყვანილ „ქორში" ამ გუნდს იმავე ამპლუის „ყოჩი" უნდა გაუგზავნონ. ერთი სიტყვით, საქმე ლამის ყმათა და ქორ-შავარდენთა გაცვლა-გამოცვლასავითაა!

ვიდრე რაგბის კავშირი ამ კანონის შეთხზვითა და სსრკ რაგბის ფედერაციისათვის ძირის გამოთხრით იყო დაკავებული, „ქორებად" ქცეულმა „ელმავალმა" მორიგი პატრონი მონახა. გუნდი ამჯერად შეეხიზნა ცნობილ ფირმა „ვესტას", რომელმაც მორაგბეებს ერთობ სარფიანი პირობები შესთავაზა. ახლანდელ დამშეულსა და უმუშევრობის მომტან დროში, აბა, ენა ვის მოუბრუნდება, სხვის ჯიბეში ფული რომ ითვალოს, მაგრამ გვინდა თუ არა, ანგარიში რაგბის საერთაშორისო კანონმდებლობასაც უნდა გავუწიოთ. ამიტომ მოსაფიქრებელია, რომ გუნდმაცა და „ვესტამაც" ურთიერთობის ისეთი ფორმა გამონახონ, მოყვარულობის საერთაშორისო კანონებს რომ არ დაარღვევს. ამ კანონების თანახმად კი არსებითი ისაა, რომ მორაგბეებმა ფული სპონსორისაგან არ მიიღონ მაინცდამაინც რაგბის თამაშისათვის — ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად.

და მაინც, პატრონად „ვესტას" შეგულვებას „ქორებისა" და „მიმინოს" უკანა ხაზის ოთხი მოთამაშისათვის ხელი არ შეუშლია, საქართველოს ჩემპიონატისათვის სხვა გუნდებში რომ გადასულიყვნენ. ასე აღმოჩნდნენ „შევარდენში" ძნელიძე და მარჯანიშვილი, „ყოჩებში" კი — ვაშაძე და ჩიქვინიძე. თუმცა ეს მოთამაშეები უეჭველად ისარგებლებენ მთელს მსოფლიოში მიღებული ორმაგი წევრობით და სსრკ ჩემპიონატში ძველ კლუბებში გამოვლენ.

უნარიანი და მძლავრი სპონსორები გაიჩინეს აქამდე ღვთის ანაბარად მიტოვებულმა სტუდენტურმა კლუბებმაც. მეტიც, საქართველოში არსებული რვავე სტუდენტური კლუბი გაერთიანდა სტუდენტური რაგბის ასოციაციად, რომელიც, რაღა თქმა უნდა, გლობალურად კი მიჰყვება რაგბის კავშირის გეზს, მაგრამ თავისს შინაურ საქმეებში გარეშეს არავის გარევს. ამ ახალი გაერთიანების დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც სასტუმრო „ივერიის" საკონფერენციო დარბაზში 8 მარტს გაიმართა, ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისის" პრეზიდენტი, ბატონი ასლან აბაშიძე; ვიცე-პრეზიდენტებად — კომერციულ ტელეცენტრ „მერმისის" დირექტორი, ბატონი ალექსანდრე ბეთანიშვილი, „დიზაინმონტაჟის" მმართველი, ბატონი ვაჟა მიქაბერიძე და „საქყოფსერვისის" ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი ზვიად ცეცხლაძე; მდივნად — სამხატვრო აკადემიის რაგბის კლუბ „აკადემიის" მენეჯერი გია კუბლაშვილი.

ზაალ გიგინეიშვილი

ჭადრაკი

# თბილისის პირველობაზე

თბილისის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის შვეიცარული სისტემით 11 ტურად ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობა 34-მა მოჭადრაკემ მიიღო. მთავარი მსაჯის მოადგილის, საერთაშორისო არბიტრის ე.მელიქსეთ-ბეკის თქმით თბილისის პირველობის ესოდენ ახალგაზრდული შემადგენლობა მას არ ახსოვს. 11-12 წელი საშუალო ასაკად უნდა მივიჩნიოთ.

თბილისის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა 15 წლის ინგა ხურცილავამ (9 ქულა). იგი ხონიდანაა. ახლა თბილისის 18-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. მას წვრთნის გამოცდილი პედაგოგი ვ.ურიდია.

— ჭადრაკზე დღეში საშუალოდ 5-6 საათს ვმუშაობ, — თქვა ინგამ, — სირთულეებს მიქმნის ასეთი რეჟიმის შეთავსება სკოლაში სიარულთან. შინ დაბრუნებულს ზოგჯერ არაქათი მაქვს გამოცლილი. ისეც მომხდარა ჭადრაკის დაფასთან ჩამძინებია.

ჩემი იდეალი დიდოსტატი ნანა ალექსანდრიაა. ბევრი ვისწავლე მისი შემოქმედების გაცნობით. თვალ-ყურს ვადევნებ უნგრელი დების პოლგარების მიღწევებს. მგონია, რომ ისინი ვერ შესძლებენ ქართველი მოჭადრაკე ქალების დამარცხებას.

უახლოესი გეგმების შესახებ. სოჭში ჩატარდება მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირები ასაკობრივ ჯგუფებში. მე, ნინო ხურციძე და თამრიკო ფაჩულია 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირში გამოვალთ. მთავარი მეტოქე ალბათ ილაჰა გადიმოვა იქნება.

სპორტის სხვა სახეობებიდან ჩოგბურთი მიყვარს. მაგრამ ხშირად თამაშს ვერ ვახერხებ დროის უქონლობის გამო.

ტურნირში მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: მეორე იყო თამრიკო ფაჩულია (8,5 ქულა), მესამე-მეოთხე გაიყვეს მაია ლომინეიშვილმა და იამზე თვაურმა (8-8 ქულა), უკეთესი ბუსგოლცის კოეფიციენტის გამო III ადგილი მაიას მიენიჭა.

დებულების თანახმად ჩემპიონი საქართველოს 1991 წლის ქალთა პირველობის უმაღლეს ლიგაში დაიშვება, ხოლო II-IV ადგილებზე გასულები პირველ ლიგაში ითამაშებენ.

დავით ჯაფარიძე

# ხომ არ დაგვემშვიდობება „ადიდასი“?

## ჩვენებური ექსპერიმენტი სხვისი ტრადიციის საფუძველზე

**თანამედროვე სპორტული სამოსის დეფიციტი ერთ-ერთი დიდი პრობლემაა ჩვენი სპორტსმენებისათვის თუ, ბრალოდ, ვარჯიშის მოყვარულებისათვის. ამიტომ ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის გახსნა დროული და საჭირო საქმე გახლდათ. საწარმომ საშინაო ბაზარზე საკმაოდ მალე გაითქვა სახელი და ერთ-ერთ მოწინავედ იქცა. ყველა იცნობს მის ხელმძღვანელსაც — ოლიმპიურსა და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონ რომან რურუას.**

### ფაბრიკა

თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა (670 თანამშრომელი) სპეციალიზებული საწარმო გახლავთ და ტრიკოტაჟის სპორტულ ტანსაცმელს აწარმოებს როგორც სპორტსმენებისათვის, ისე აქტიური დასვენების მსურველებისათვის. დღესდღეობით აქ ათვისებული აქვთ 54 მოდელი, აქედან 30 პროცენტი — სახელგანთქმული ფირმა „ადიდასის“ ლიცენზიით. საჭირო კომპონენტები — უკლებლივ ყველა — ფაბრიკას რესპუბლიკის გარედან შემოაქვს, 20-25 მომწოდებელი ორგანიზაცია ჰყავს. იგი 38 მილიონი მანეთის ტანსაცმელს აწარმოებს. აქედან 22 მილიონისა მის მეპატრონეს — საკავშირო სპორტსახკომს მიაქვს და თხუთმეტივე რესპუბლიკაში ანაწილებს. „ადიდასთან“ დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებით ფაბრიკის ექსპორტის ზონა შეზღუდულია — პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკეთი, მონღოლეთი... თუ სხვაგანაც მოინდომა საქონლის გატანა, ეს საკითხი „ადიდასთან“ უნდა შეათანხმოს.

ტანსაცმლისათვის საჭირო ფერთა გამა, დიზაინთა მოთხოვნით, მდიდარი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, 15 ფერს მაინც უნდა მოიცავდეს.

ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნის ფაბრიკისათვის საღებავის მომწოდებელს, ტამბოვის პოლიეთერის დისპერსიული საღებავის ქარხანას (ერთადერთს მთელ საბჭოთა კავშირში) იქ მხოლოდ სამ-ოთხ ფერს თუ შემოგთავაზებენ, თან ხარისხიც მდარეა. ამის გამო ჩვენი დიზაინერების მისწრაფებას, ცხადია, ფრთები ეკვეცება. და მაინც, ფაბრიკის პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს და, დეფიციტის „სრული სტატუსით“, სწრაფად ჰქრება სავაჭრო ქსელში... (ხალდება საცალო ვაჭრობაში.)

### მთავარი ინჟინერი

ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ბატონმა დავით ლომსაძემ, როცა ეს მონაცემები გაგვაცნო, დასძინა: ასეთი დეფიციტის პირობებში საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია, მით უმეტეს რომ მის შექმნას აქა-იქ, ცალკეულ რაიონებში ცდილობენ, როცა საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მომწოდებლები თავს გვახვევენ კომერციულ ფასებს, ჩვენ კი საკუთარი პროდუქციის ფასებს ვსაზღვრავთ ჯერ კიდევ არსებული სახელმწიფო პრეისკურანტის მიხედვით. დასკვნა თვითონ გამოიტანეთ.

პროდუქციის იმ რაოდენობის გარდა, რომელიც საკავშირო სპორტსახკომს მიაქვს და ანაწილებს, ვცდილობთ დარჩენილი ნაწარმის დიდი ნაწილი საქართველოში დავტოვოთ, რადგან აქ მათლაც დიდი მოთხოვნილებაა, — განაგრძო ბატონმა დავითმა, — უფრო დიდი მოგებაც შეგვეძლო მიგვეღო, რაც, ცხადია რესპუბლიკისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ პრეისკურანტის დარღვევის უფლება არა გვაქვს. ჩვენი საუკეთესო კოსტიუმი მაღაზიაში 170 მანეთი ღირს, ხოლო „შავ ბაზარზე“ 400 მანეთად იყიდება. ესე იგი, ჩვენი ნაწარმით ვიღაც ყვლეფს ხალხს. უფლება რომ გვქონდეს, იგივე კოსტიუმი, ვთქვათ, 100 მანეთით გავაძვიროთ, ამით რესპუბლიკა დამატებით მოგებას მიიღებდა. მაგრამ ამ უფლებას ჯერჯერობით მხოლოდ ვულით. ახლანდელი წესით კი ყოველი ასეთი გაძვირებით ფაბრიკა ზედმეტ კაპიკსაც ვერ მიიღებს. ამ მხრივ ნებისმიერი კოოპერატივი ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაშია.

რაც შეეხება საზღვარგარეთ საქონლის გატანას, აზრი აღარ აქვს ახლახან შემოღებული პირდაპირ „სახელმწიფო რეკეტის“ კანონების გამო: სავალუტო შემოსავლის 40 პროცენტი ავტომატურად ირიცხება საკავშირო ბიუჯეტში საგარეო ვალის დასაფარავად. იმ დარჩენილი 60 პროცენტიდან მიაქვთ ბიუჯეტის ფიქსირებული გადასახადი, მიაქვთ სხვაც და წარმოებას, როგორც იტყვიან, „რქები და ჩლიქებიღა“ რჩება...

### დირექტორი

იქნებ საწარმოს მაჩვენებლების გაცნობაზე უფრო საინტერესო იყოს ფაბრიკის დირექტორისაგან ხელმძღვანელობის მისეული პრინციპის მოსმენა.

**— ბატონო რომან, თქვენს საწარმოს, მის პროდუქციას აქებენ და არც თუ უსაფუძვლოდ. წარმატების მისაღწევად უთუოდ დაგჭირდებოდათ თუნდაც იმ მეთოდების გამოყენება, ეკონომიკურ ბერკეტებს რომ ეძახიან. მხედველობაში მაქვს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება.**

— ასეთ საკითხში ეკონომიკური მხარე მართლაც დიდ როლს თამაშობს, მაგრამ მარტო ფულით ვერაფერს გახდები. აუცილებლად უნდა დააჯერო თანამშრომელი, რომ ის თავისუფალია. ჩემი გაგებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა, რომელსაც რაიმე საქმე ანდე, ამ საქმის ნამდვილ პატრონად და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლად იგრძნოს თავი. თუკი ეს შეძელი, მიზანი თითქმის მიღწეული იქნება.

ეს მეტად რთული ფსიქოლოგიური საკითხია. თანამშრომელს კატეგორიულად ვეუბნები, ეს ჩემი კი არა, შენი საქმეა და როგორც გინდა, ისე გააკეთე, ოღონდ აუცილებლად გააკეთე-მეთქი. ის უკვე იძულებულია იფიქროს, ესე იგი, სხვისი კარნახით მოქმედება აღარ სჭირდება, საკუთარ თავს უნდა დაეყრდნოს. ასეთმა „ხელის კვრამ“ ბევრს მართლა კარგი სამსახური გაუწია. მაგრამ ყველა ვერ აზერხებს გამოფხიზლებას...

**— საქმისადმი ასეთი მიდგომა იქნებ უცხოურ საწარმოთა გამოცდილების გაცნობის შემდეგ ჩამოგიყალიბდათ?**

— არა, ბუნებით დამოუკიდებელი კაცი ვარ, მერვეკლასელმა დავტოვე სახლი და თბილისში ჩამოვედი. დამოუკიდებელმა ცხოვრებამ ჩამომაყალიბა ასე. ჩემზე ქუჩასაც კი არ მოუხდენია რაიმე ზეგავლენა. ცხოვრებას ვაკვირდებოდი, ვფიქრობდი, რატომ იყო კაცი ასე დაბეჩავებული. მგონია, რომ სწორი დასკვნები გავაკეთე და ამ საწარმოს წარმატებაში ამას მიუძღვის გარკვეული წვლილი.

მე კლასიკური ეკონომიკური განათლება არა მაქვს, მაგრამ მაქვს ჩემი გლეხური, თუ რაც გინდათ ის დაარქვით, მიდგომა საქმისადმი. მაგალითად, კრუხს 21 კვერცხს უდებენ გამოსაჩეკად. აქედან 15-18 წიწილა იჩეკება. ეს კანონზომიერებაა. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ შემოსავალი მინიმუმზე უნდა იანგარიშო, ოღონდ მაქსიმუმის მიღებას უნდა ეცადო...

მე იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ადამიანი ბუნებით იბადება ხელმძღვანელი, ისევე როგორც ვთქვათ, ფეხბურთის დირიჟორი, ბასა ღოღობერიძე რომ იყო. მე მისი თამაში კარგად მახსოვს. ბრაზილიელი დიდის თამაშიც მინახავს. დაახლოებით ამგვარ როლს ასრულებს წარმოების ხელმძღვანელი. არ ვიცი, იქნებ აუცილებელიც არ არის, რომ იგი რაიმე კონკრეტული საქმის სპეციალისტი იყოს.

**— ბატონო რომან, თავდაპირველად საწარმოში რომელი პრობლემა იდგა ყველაზე მწვავედ?**

— წარმოების საშუალო რგოლი იყო ძალიან სუსტი: საამქროს უფროსები, ბრიგადირები, ცალკეული სპეციალისტები... ახალგაზრდები მოვიწვიეთ და მათთან სერიოზული მუშაობა დაგვჭირდა. ჯერ არ იყვნენ მზად საჭირო დონეზე სამუშაოდ. მაგალითად, ერთ წითელ დიპლომიანს ვერ გავაგებინე, რომ მე მისი კარგი დიპლომი კი არა, კარგი მუშაობა მინდოდა. ერთხელ შევედი მის საამქროში, ნაგვის გროვა შევნიშნე და ზედ გადავაბიჯე. იმანაც მომბაძა. მეორე დღესაც განზრახ იგივე გავიმეორე. იმანაც, ვითომ არაფერი... ვერ მიხვდა, რომ ის ნაგავი აღარ უნდა დამხვედროდა. კაცი რომ თავის საამქროში შევა, ყველაფერს უნდა ამჩნევდეს. თუმცა ბევრმა გაგვიმართლა... ერთი ბიჭი მივიღეთ, საშუალო განათლებით. საოცრად სწრაფად „გაუგო“ უცხოურ მანქანებს. ჩვენც ავდექით და საამქრო ჩავაბარეთ. მანქანა რომ გაჩერდება, გერმანიიდან უნდა გამოიძახო სპეციალისტი, ის კი ისე სწრაფად შლის და აწყობს... ვიცი, ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ ის ბიჭი უმაღლესში სასწავლებლად რომ გავუშვათ, იმ ხუთ წელიწადს ტყუილად დაკარგავს. მე ასეთი პრინციპი მაქვს: უფრო ბუნებრივ ნიჭს ვაქცევ ყურადღებას. თუკი დიპლომიანი უდიპლომოს აჯობებს, ძალიან კარგი, მაგრამ მარტო დიპლომი ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს.

ისიც კარგია, რომ მთელი კოლექტივი ახლოსაა ჩემთან, როგორც ხელმძღვანელთან. არც ერთი კაცი არ გამითავისუფლებია სამსახურიდან მისი უშუალო უფროსის თანხმობის გარეშე. ჩვენი წარმატებები მნიშვნელოვანწილად კოლექტივის მონდომებამ განაპირობა. მე თანამშრომლებს თავისუფლებას ვაძლევ, რასაც კარგი შედეგი მოაქვს.

**— რას გვეტყვით საწარმოს პერსპექტივაზე?**

— თუ ახლა ვინმეს უჭირია ამ ქვეყანაზე ცხოვრება, მათ შორის ჩვენც. ჩვენ თუ ვერ შევძლებთ, სხვა — მით უმეტეს. თუმცა „ადიდასთან“ კონტრაქტის ვადა წლეულს იწურება. ხელშეკრულების გასაგრძელებლად წელიწადში ნახევარი მილიონი მარკა უნდა გადავიხადოთ. ჩვენ ეს თანხა არა გვაქვს და მთავრობაც უარს გვეუბნება ფულის მოცემაზე. თუმცა არის რაღაც წინადადებები, ვნახოთ, რა იქნება.

**— ეს ფაბრიკა საკავშირო სპორტკომიტეტს ეკუთვნის და პროდუქციის დიდი ნაწილიც მას მიაქვს. არ შეიძლება, რომ, ვთქვათ, საქართველოს მინისტრთა საბჭო ჩაერიოს საქმეში და გამოისყიდოს ესოდენ საჭირო საწარმო?**

— ამისთვის სრულიად არ არის საჭირო მინისტრთა საბჭო. გადაწყვეტილი გვაქვს სააქციონერო საზოგადოება შევქმნათ და ასე გამოვისყიდოთ ფაბრიკა. ახლა იმასღა ველოდებით, როდის მიიღებს სათანადო კანონს საქართველოს უზენაესი საბჭო. ჩვენს მომწოდებლებთან კი, სხვადასხვა რესპუბლიკაში, ისევ წმინდა ეკონომიკური კავშირები გვექნება.

**— ბატონო რომან, არ დაგემალებით და თქვენთან სპორტზე საუბარიც მინდოდა...**

— ბოლო წლებში ძალიან მტკივა გული, ოთხჯერ ძალით გამომიყვანეს სპორტიდან. არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

ესაუბრა
**გიორგი ჩოჩიშვილი**



გია ახალაძის ფოტო



გია ახალაძის ფოტო



(გაგრძელება)

ოფიცრის არებობა ამ სიუჟეტურ საქმეში ნათელს ჰფენს ერთ გარემოებას: რატომ უწოდებდნენ ამ სპორტს თავდაპირველად ოფიცერთა ხუთჭიდს. ლეგენდის თავისებური ხიბლი გახლავთ ბრძოლის რომანტიკა, რომელშიც ერთმანეთთანაა შერწყმული ფიზიკურად ძლიერი და სრულყოფილი ადამიანის ყველა თვისება. ეს ისტორია, ცხადია, ხაზს უსვამს უცნობი მეომრის სულიერ სიმტკიცეს და მიზანსწრაფვასაც, მის განსაკუთრებით გამახვილებულ პასუხისმგებლობის გრძნობას. ერთი სიტყვით ლეგენდა, რომ იტყვიან, ვაჟკაცობის გამომხატველი ყველა საკმაზით არის შეზავებული.

მაგრამ გულმოდგინედ თუ დავაკვირდებით, ამ ფიზიკურ ვარჯიშთა ერთობლიობაში არაფერია განსაკუთრებული. ასეთ ან დაახლოებით ამდაგვარ სპორტულ კოქტეილს კაცობრიობა იცნობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდეც. ამის ერთი მაგალითი გახლავთ მეთვრამეტე ბერძნული ოლიმპიადა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 708 წლითაა დათარიღებული.

... არაფერს ვამბობთ თამაშების პირველ სამ დღეზე, თუმცა ისინიც, ემოციურად საკმაოდ დატვირთული იყვნენ. პროგრამის მეოთხე დღე მთლიანად ცხენოსანთა ტურნირსა და ეგრეთ წოდებულ პენტატლონს ჰქონდა დათმობილი, რაც „ვარჯიშთა ხუთ სხვადასხვა ნაერთს“ კრიბავდა. თანამიმდევრობას ამ შემთხვევაშიც, ძველი ბერძნები მტკიცედ იცავდნენ: ჯერ რბენა იყო, მერე ბადროს ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა, შუბის ტყორცნა და ბოლოს ჭიდაობა („პენტ“ ბერძნულად ხუთს ნიშნავს, „ატლონ“ — გამოცდას). თანამედროვე ხუთჭიდმა ბერძნული პენტატლონისაგან გადაიღო იდეა „ხუთი გამოცდის“ გაერთიანების შესახებ და ერთი მისი სახეობა — რბენა. ყველაფერი დანარჩენი ჩვენს დროს იქნა მოგონილი.

თანამედროვე ხუთჭიდის „მამად“ თვით პიერ დე კუბერტენს ასახელებენ — აღორძინებული ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელს. სწორედ მან შეარჩია „ხუთი ღირსების რაინდთა“ გამოცდის ზემოთხსენებული ფორმები, ორგანულად დაუკავშირა ისინი ერთმანეთს და გამზადებული სპორტული სახეობის სახით შესთავაზა იგი V ოლიმპიადის ორგანიზატორებს (1912 წელი, შვეცია). პრეზიდენტის სიტყვა ან რჩევა ყველა დროს კანონი იყო, მით უმეტეს ისეთი პრეზიდენტისა, როგორიც პიერ დე კუბერტენი გახლდათ.

მაგრამ თანამედროვე ხუთჭიდს მისი მეტ-ნაკლებად გასამხედროებული ხასიათის გამო საგანგებო სტატუსის გამოძებნა დასჭირდა. თავდაპირველად თამაშებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ოფიცრებს, რომ ალბათ გაემართლებინათ მისი სახელწოდება. ეს სტატუსი მოქმედებდა 1912-1948 წლებში.

ლონდონის XIV ოლიმპიადაზე (1948) შეიქმნა ამ „წმინდად მამაკაცური სპორტის“ (ზოგჯერ მას ასეც უწოდებდნენ) საერთაშორისო კავშირი და თანამედროვე ხუთჭიდმაც, ბოლოს და ბოლოს, გაიხადა ოფიცრის მუნდირი. აქედან მოყოლებული ეს სპორტი სამოქალაქო სამოსშია (უფრო სწორედ კი წმინდა სპორტულ ფორმაში) გამოწყობილი. აქედან მოყოლებული ხუთჭიდელთა ტურნირებში გამოდის ყველა ვისაც აქვს საკუთარი თავის იმედი და ვინც დარწმუნებულია, რომ გაუძლებს ამ უმკაცრეს სპორტულ გამოცდას.

ისტორიამ მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ორი ფაქტი. პირველი გახლავთ ის, რომ მსოფლიომ თანამედროვე ხუთჭიდი შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიცნო. მეორე კი ისა, რომ იმ დღიდან მოყოლებული მთელი ორმოცი წლის მანძილზე შვედ ხუთჭიდელებს არა ჰყავდათ ბადალი და განუკითხავად ბატონობდნენ მსოფლიოს ყველა ტრასაზე. შვედების დამსახურებაა ისიც, რომ შეიქმნა თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო კავშირი (მისი პირველი ხელმძღვანელი გახლდათ პოლკოვნიკი სვენ ტოფელტი).

შვედების უპირატესობა წლების მანძილზე იმდენად აშკარა იყო, რომ ერთ ხანს ამ სპორტის ამოღებაც კი სცადეს ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან. მაგრამ კუბერტენის სურვილის გაბათილება ძნელი საქმე იყო და სერიოზულად ამ უგუნური ნაბიჯის გადადგმა ვერავინ გაბედა. არადა 1912 წლიდან მოყოლებული შვედებს თითქმის არც ერთი ოლიმპიადა არ წაუგიათ და ოლიმპიურმა ტურნირებმა ამის გამო დაკარგა კიდეც ინტერესი. მეტი დამაჯერებლობისთვის გადახედეთ ოლიმპიურ ჩემპიონთა სიას: გუსტავ ლილიეჰიოკი (1912წ.), გუსტავ დიურსენი (1920), ბუ ლინდმანი (1924), სვენ ტოფელტი (1928), იუჰან ოქსენშერნი (1932), ვილიამ გრუტი (1948), ლარს ჰალი (1952-1956), ბიორნ ფერმი (1968).

თანამედროვე ხუთჭიდს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმები აქვს, რომლებიც ცხენოსანთა შეჯიბრებაში, მაგალითად, დაბრკოლებათა გადალახვას გულისხმობს, ფარიკაობაში — ბრძოლას პირველ ჩხვლეტამდე, სროლაში — 20 გასროლას 4 სერიად, ცურვაში — 300 მეტრიანი დისტანციის დაძლევას თავისუფალი სტილით და მძლეოსნობაში — 4 კილომეტრიან კროსს. ერთ დროს დადგენილი იყო ამ სახეობათა მყარი მონაცვლეობა ხუთი კალენდარული დღის მანძილზე. ბოლო დროს კი, განსაკუთრებით გუნდური ჩემპიონატების შემოღების შემდეგ შეხედულებისამებრ იცვლება სახეობათა რიგი და დღეების რაოდენობა, მაგრამ თავად ხუთჭიდის პრინციპი ურყევია — იგი უსათუოდ უნდა შეიცავდეს: ცხენოსნობას, ფარიკაობას, სროლას, ცურვასა და მძლეოსნურ კროსს.

თანამედროვე ხუთჭიდს საქართველოში არც ისე დიდი ტრადიციები აქვს. საკავშირო სარბიელზე პირველ, მეტ-ნაკლებად სერიოზულ წარმატებას, თბილისელმა იგორ ბროზგალოვმა მიაღწია, რომელმაც 1983 წელს სსრკ თასი მოიგო, თუმცა... ერთი ქართველი ხუთჭიდელის გვარს, ფაქტობრივად, ყველა რანგის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორთა სიაში შეხვდებით. ეს გახლავთ ვახტანგ იაგორაშვილი — 1985 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორებში, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი და თასის მფლობელი მოზრდილებში და ბოლოს სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი.

კ

### კალათბურთი

დაბადების წელი — 1891, თვე და რიცხვი — დეკემბრის 21, ადგილი — სპრინგფილდის კოლეჯი, მასაჩუსეტსის შტატი, აშშ.

კალათბურთის ისტორიაში თეთრი ლაქები თითქმის არ არის. ამ მხრივ იგი, სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, ბედნიერი გამონაკლისია. კალათბურთთან დაკავშირებით ზემოთ თქმულის გარდა, მაგალითად, ცნობილია, რომ იგი გამოიგონა სპრინგფილდის კოლეჯის პედაგოგმა ჯეიმს ნეისმიტმა, რომ თამაშის თავდაპირველი დანიშნულება იყო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება და ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების სრულყოფა, რომ ნეისმიტს თავისი გამოგონებისთვის სახელი არ დაურქმევია, ა.შ. და ა.შ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი



# ეროვნული ფეხბურთის მეორე გაზაფხული

ხვალ იწყება საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატი ფეხბურთში. ხვალ გაიმართება პირველი ტურის ათივე მატჩი.

საგაზაფხულო ჩემპიონატი ხანმოკლე იქნება — სამ თვეს გასტანს, აგვისტოში კი ახალი ჩემპიონატის სტარტია დანიშნული. ჩემპიონატისა, რომელიც უკვე „შემოდგომა-გაზაფხულის" პრინციპით გაიმართება.

უაღრესად გამწვავებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, ბუნებრივია, უკანა პლანზე გადასწია ფეხბურთის თემა. ახალი საფეხბურთო სეზონის მოახლოებას აღარ ახლავს ძველი ხიბლი და სილამაზე. ათასი საფიქრალ-საზრუნავით შეჭირვებულ საზოგადოებას სტადიონისკენ ნაკლებად მიუწევს გული. თუმცა ეს დედაქალაქელებზე უფრო ითქმის, თორემ შარშანდელი ჩემპიონატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ერთგვარი გამოცოცხლებაც კი იგრძნობოდა. ამაში გასაკვირი არაფერია; ვიდრე ჩვენი უძლიერესი გუნდები საკავშირო შეჯიბრებებში გამოდიოდნენ, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს გულშემატკივარი ნაკლებად ესწრებოდა. დღეს საქართველოში, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობენ პრივილეგირებული და მეორეხარისხოვანი გუნდები, აღარ არსებობს მონოპოლია მწვრთნელის და ფეხბურთელთა მცირე ჯგუფისა, წელში იმართება და ძალას იკრებს ეგრეთწოდებული პერიფერიის ფეხბურთი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას: დღემდე არ წყდება დავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელი დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობის თაობაზე და როგორც ჩანს, კამათი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. რაც არ უნდა მოხდეს, ეჭვგარეშეა, რომ ქართული ფეხბურთი არჩეული გზიდან არ გადაუხვევს, რესპუბლიკის საუკეთესო გუნდები საკავშირო ჩემპიონატს არ დაუბრუნდებიან.

ეს პრინციპის საკითხია!

... ხვალ საგაზაფხულო ჩემპიონატი იწყება.

ფეხბურთის ამბებით დაინტერესებულმა მკითხველმა იცის, რომ რესპუბლიკურ საფეხბურთო პირველობათა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა და ამ ცვლილებებს ცხარე დებატებიც მოჰყვა. რაკი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაარღვია შარშანდელი ჩემპიონატის დებულების მნიშვნელოვანი მუხლი, ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა ამავე ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა.

კონსენსუსის მიღწევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ამ გაჭიანურებულ კამათს, ალბათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო ყრილობაზე დაესმება წერტილი.

## ფეხბურთელები „სახლში" ბრუნდებიან

### ამბობს ბადრი ქარქაშაძე — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, რომელიც კურირებს უმაღლეს ჯგუფს

**— შარშან, გუნდებს მოგებისათვის სამი ქულა ეწერებოდათ. გაამართლა ამ სიახლემ?**

— ცხადია, გაამართლა. საგრძნობლად იმატა მოგების ჟინმა. გუნდები ფრეზე აღარ ფიქრობენ, რადგან წაგება და ფრე თითქმის ტოლფასია. ორი შეხვედრის ფრედ დამთავრება უფრო ნაკლებ ქულას იძლევა, ვიდრე ერთი გამარჯვება. ხომ მეთანხმებით?

**— ახალი სეზონის წინ ბევრმა ფეხბურთელმა გუნდი გამოიცვალა. რა ტენდენციები შეინიშნება?**

— ფედერაციის გადაწყვეტილებით, შარშან სეზონის დამთავრების შემდეგ, ყველა არსებულ კონტრაქტს ძალა დაეკარგა. ამის მიზეზი ის არის, რომ შემუშავდა კონტრაქტის დადების საერთო წესი, რომლის მომზადების დროსაც შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ ყველა დაინტერესებული მხარის შენიშვნები. ამის შედეგად ფეხბურთელებს ხელ-ფეხი გაეხსნათ და წავიდნენ იქ, სადაც სურდათ, (მაღალი რანგის შეჯიბრებაში თამაშისთვის „იბერიის" ან „გურიის" წევრობა უკვე აღარ არის აუცილებელი). მით უმეტეს, რომ ბევრი ფეხბურთელი მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ატარებდა დროს და მოედანზე რამდენიმე წუთით თუ გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ წლეულს საგრძნობლად იკლო სხვა რესპუბლიკებიდან მოწვეულ ფეხბურთელთა რაოდენობამ. როგორც თავად მწვრთნელები ამბობენ, ისინი დარწმუნდნენ, საქართველოს ფარგლებს გარედან მოწვეულები ჩვენი ბიჭების ფონზე ვერ გამოირჩევიან დიდი ოსტატობით და გუნდებს ბევრს ვერაფერს მატებენ. ეს ცხადია, არ ეხებათ ისეთ ოსტატებს, როგორებიც ფრიდრიკასი და მაჟეიკასი არიან, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ერთმა დიდგულა მოწვეულმა ფეხბურთელმა თამაშის წინ მწვრთნელს ჰკითხა, დღეს რამდენი გოლი გავიტანოო... არადა, ის შეხვედრა მისმა გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო.

**— საგაზაფხულო ჩემპიონატის ჩატარების მიზეზი გასაგებია. ეს არის შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლის სურვილი. მაგრამ სპორტული თვალსაზრისით იქნება კი ეს ჩემპიონატი სრულყოფილი?**

— სისტემის გამოსაცვლელად საუკეთესო ვარიანტი სწორედ ეს არის. იყო აზრი ტურნირის ჩატარებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში დაიკარგებოდა სპორტული ჟინი. ჩემპიონატი მაინც ჩემპიონატია.

**— თუ კალენდარს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ტურები ერთმანეთისაგან ოთხ და შვიდდღიანი ინტერვალით არის დაშორებული.**

— სპეციალისტების საერთო აზრით, ოთხი და შვიდდღიანი ინტერვალები სპორტული თვალსაზრისით საუკეთესოა. გარდა ამისა, საქართველოში, ქალაქიდან ქალაქში წასასვლელად გუნდებს ხანგრძლივი მოგზაურობა არ უწევთ, ამიტომ ოთხდღიანი ციკლი ოპტიმალურია. ერთკვირიანი მონაკვეთი კი გუნდებს საშუალებას მისცემს ჩაატარონ ამხანაგური შეხვედრები და ფეხბურთელებმა ტრავმები მოიშუშონ.

ილია ბაბუნაშვილი

## ცვლილებები გუნდების შემადგენლობებში

### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შეემატნენ:

„იბერიას" — ინაშვილი („ცხუმი"), შელია („ამირანი"), ჩხეიძე („ქუთაისი")
„გურიას" — კეტაშვილი („იბერია"), მეგრელაძე („ქუთაისი"), [illegible] („გორდა")
„გორდას" — მახარაძე („ბათუმი"), თორდიაშვილი („ქუთაისი")
„ქუთაისს" — წიქარიშვილი, ხუციძე (ორივე „სანავარდო")
„ცხუმს" — ცაავა („იბერია"), ჩიქელავა („მერეთი")
„ბათუმს" — ნახუცრიშვილი („მერცხალი")
„ოდიშს" — შონია („იბერია"), კობესოვი („დილა"), ჟვანიაშვილი („იბერია")
„მერცხალს" — მაჭუტაძე („ბათუმი")
„შევარდენი-1906"-ს — ბაკურაძე („გურია")
„სამგურალს" — ჭუონია („კოლხეთი-1913"), ბაბუნაძე, შელიძე (ორივე „სანავარდო")
„მზიურს" — მორგოშია („ქუთაისი"), კაკუბავა („ამირანი")
„ამირანს" — პაპასკირი, დოჩია, გეთია (სამივე — „ცხუმი")
„მარგვეთს" — ავრამიდისი, ინაშვილი („კოლხეთი-1913"), წიკლაური, ჭუღელი („ქუთაისი"), [illegible], დევაძე („იბერია"), ლაცაბიძე („ივერია")
„ალაზანს" — ძნელაძე, ღამბაძე, ბაშბიძე (სამივე — „შევარდენი-1906"), პოზოიანი („ივერია")
„კოლხეთს" — გოგაძე („სანავარდო")

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ორი თამაშის დისკვალიფიკაციით და 3000 მანეთის ჯარიმით დასაჯა „მერცხალის" ფეხბურთელები — კალატოზიშვილი, ბარამიძე და ამაშუკელი, რომლებმაც პარალელურად ხაშურის „ივერიასთანაც" გააფორმეს კონტრაქტი. „გორდას" ფეხბურთელები კუდინოვი და ფირცხალავა დაჯარიმდნენ 1500 მანეთით და მიეცათ პირობითი დისკვალიფიკაცია. მათაც პარალელურად „იბერიასთან" ჰქონდათ კონტრაქტი დადებული. „იბერიას" მოთამაშე მაჭავარიანი, იგივე დარღვევისთვის (პარალელური კონტრაქტი „მარგვეთთან") დაჯარიმდა 1500 მანეთით და მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია.

## ჩემპიონატში მონაწილეობენ

**უმაღლესი ჯგუფი**

1. „იბერია" თბილისი
2. „გურია" ლანჩხუთი
3. „გორდა" რუსთავი
4. „ქუთაისი" ქუთაისი
5. „კოლხეთი-1913" ფოთი
6. „ბათუმი" ბათუმი
7. „ცხუმი" სოხუმი
8. „ოდიში" ზუგდიდი
9. „მერცხალი" ოზურგეთი
10. „დილა" გორი
11. „კოლხეთი" ხობი
12. „სანავარდო" სამტრედია
13. „მზიური" გალი
14. „სამგურალი" წყალტუბო
15. „ივერია" ხაშური
16. „შევარდენი-1906" თბილისი
17. „ამირანი" ოჩამჩირე
18. „სულორი" ვანი
19. „მარგვეთი" ზესტაფონი
20. „ალაზანი" გურჯაანი

**პირველი ჯგუფი**

1. „კახეთი" თელავი
2. „არაგვი" დუშეთი
3. „სიხარული-90" გაგრა
4. „იმერეთი" ხონი
5. „ქართლი" გორი
6. „შუქურა" ქობულეთი
7. „სქური" წალენჯიხა
8. „მალაროელი" ჭიათურა
9. „საპონელა" თერჯოლა
10. „ჩიხურა" საჩხერე
11. „სიონი" ბოლნისი
12. „არმაზი" მცხეთა
13. „ბახტრიონი" ახმეტა
14. „სამეგრელო" ჩხოროწყუ
15. „დურუჯი" ყვარელი
16. ფიზკულტურის ინსტიტუტი
17. ტექნიკური უნივერსიტეტი
18. „ოკრიბა" ტყიბული
19. „მრეტები" თბილისი
20. „იბრისი" სენაკი

**მეორე ჯგუფი**

„ა" ქვეჯგუფი

1. „ალგეთი" მარნეული
2. „კრწანისი" თბილისი
3. „მერეთი" ლაგოდეხი
4. „სამგორი" გარდაბანი
5. „ერწუხი" წნორი
6. „ბარეჯი" საგარეჯო
7. „ჭაბუკიანი" ჭაბუკიანი
8. „ბარისი" თეთრიწყარო
9. „ნაფარეული" ნაფარეული
10. „თუშეთი" ალვანი
11. „შირაქი" წითელწყარო
12. „ბანთიადი" დმანისი
13. „რუსთავი" რუსთავი
14. „იორი" თიანეთი
15. „თრიალეთი" წალკა
16. „ვაზისუბანი" გურჯაანი
17. „ვარდისუბანი" თელავი
18. „ვარდისუბანი" ლაგოდეხი
19. „არმაზი-90" თბილისი

„ბ" ქვეჯგუფი

1. „მერანი" თბილისი
2. „თორი" ბორჯომი
3. „მგლები" თბილისი
4. „მუხრანი" მუხრანი
5. „ფარავანი" ბოგდანოვკა
6. „ზარზმა" ადიგენი
7. „იბერია" ქარელი
8. „ვარძია" ასპინძა
9. „მესხეთი" ახალციხე
10. „აბული" ახალქალაქი
11. „ბანთიადი" კასპი
12. „სამცხე" აწყური
13. „დილომი" თბილისი
14. „ჯეჯილი" თბილისი
15. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
16. „იმედი" თბილისი
17. „ანცი" თბილისი
18. „კაზრეთი" ბოლნისი
19. „მერანი-91" თბილისი

„გ" ქვეჯგუფი

1. „იმედი" ლაითური
2. „ბეთლემი" ქედა
3. „გურია-2" ლანჩხუთი
4. „ბახმარო" ჩოხატაური
5. „ქუთაისი-2" ქუთაისი
6. „აისი" ქუთაისი
7. „მენავთობე" ბათუმი
8. „საირმე" ბაღდათი
9. „რაჭა" ამბროლაური
10. „ცხრაჯვარი" ტყიბული
11. „მამისონი" ონი
12. „უქიმერიონი" ქუთაისი
13. „ჩხერიმელა" ხარაგაული
14. „სურამი" სურამი
15. „ზესტაფონი" ზესტაფონი
16. „მეშახტე" ტყიბული
17. „ხვამლი" ცაგერი
18. „მეგობრობა-89" ბათუმი

„დ" ქვეჯგუფი

1. „ჭყონდიდი" მარტვილი
2. „ჩელა" დაბაჩხელი
3. „მამული" [illegible]
4. „ლაშქარი" ტყვარჩელი
5. „კოლხეთი-2" ფოთი
6. „შევარდენი" ზუგდიდი
7. „კოლხი" [illegible]
8. „სუბტროპიკი" სოხუმი
9. „კოლხეთი-2" ხობი
10. „ზანა" აბაშა
11. „სამტრედია" სამტრედია
12. „მშენებელი" ჭიათურა
13. „ზღვაია" წალენჯიხა
14. „ენგური-90" ჯვარი
15. „ოჯალეში" ბაგძა
16. „ზუგდიდი-91" ზუგდიდი
17. „თუთარჩელა" ხაბუმი
18. „სათანჯო" გალი



იშვიათია ქართველი, ფეხბურთი რომ არ უყვარდეს და ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც რომ არ ოცნებობდეს იმ დღეზე, როცა:
ეროვნული ჩემპიონატის თითოეული მატჩი დღესასწაული იქნება;
ხალხით სავსე ტრიბუნებზე იფრიალებენ სხვადასხვა ფერის დროშები;
თითოეულ შეხვედრას დაამშვენებს ფინტების კორიანტელი;
სტადიონებზე ხალხი ივლის ამა თუ იმ ფეხბურთელის სანახავად;
საქართველოს გუნდები და ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე გავა...
მანამდე კი გრძელი გზაა გასავლელი და ამ გზის ერთი მონაკვეთია წლევანდელი საგაზაფხულო ჩემპიონატი. სეზონის წინ ცვლილებებზე, სირთულეებზე და პერსპექტივებზე გვესაუბრებიან:

**ცარიელი ტრიბუნა,**
**თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის**
**ეროვნული სტადიონისთვის,**
**შარშან დამახასიათებელ**
**ნიშნად გადაიქცა.**
**მაყურებლის მოსაზიდად მხოლოდ**
**სურვილი და ეპიზოდურად ეფექტური**
**თამაშიც კი**
**საკმარისი არ ყოფილა.**
**როდის დაუბრუნდება**
**თბილისელი მაყურებელი ფეხბურთს?**

გია ახალაძის ფოტო



## დავით ყიფიანი
„იბერია" თბილისი

# „ჩვენი ახალგაზრდული გუნდი"



**— ხართ თუ არა დარწმუნებული, რომ წელსაც ჩემპიონები გახდებით?**

— სურვილი გვაქვს და ჩვენი მიზანიც ეს არის, თუმცა სურვილი ერთია, ხოლო რეალობა — მეორე. დარწმუნებით რაიმეს თქმა არ შემიძლია. აშკარაა, რომ ძალიან რთული ჩემპიონატი იქნება.

**— რითი იქნება წლევანდელი „იბერია" შარშანდელისაგან განსხვავებული?**

— თავად განსაჯეთ, გუნდიდან რვა ფეხბურთელი წავიდა: ჭედია, ცაავა, გურული, ხაბოვი, კეტაშვილი, კერძევაძე, ყიზილაშვილი, შონია. მოვიწვიეთ ჩხეიძე, ინალიშვილი, შელია და ძმები არველაძეები. გვეყოლება ახალგაზრდული გუნდი, ყველას მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება.

**— ახლა ვინ არის კაპიტანი?**

— კაპიტანი ცხადაძეა, თვითონ ბიჭებმა ასე ისურვეს. არც გუნდის ხელმძღვანელობას ჰქონდა რაიმე საწინააღმდეგო, რადგან ცხადაძე სერიოზული კაცია და ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი.

**— რა არის „იბერიასათვის" ყველაზე დიდი პრობლემა?**

— ყველაზე დიდი პრობლემა მაყურებლის ნაკლებობაა, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, გუნდის ფინანსურ მხარეზეც სერიოზულად მოქმედებს. ვიცი, წუწუნი საქმეს არ უშველის და ამიტომ მაყურებლის მოსაზიდად ვცდილობთ გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება.

**— ამბობენ ფეხბურთის სანახაობრივი მხარე დაეცაო. როგორია თქვენი პოზიცია?**

— ფეხბურთი პირველ რიგში სანახაობაა. ამ მხრივ ზოგს მოსწონს ეროვნული ჩემპიონატის მატჩები, ზოგს არა. ამის შემფასებელია მაყურებელი. შარშან იმედი გვქონდა, რომ უფრო მეტი ხალხი ივლიდა სტადიონზე, წელს ვნახოთ.

**— თქვენი აზრით, საგაზაფხულო, ერთწლიანი ჩემპიონატი შეუწყობს თუ შეუშლის ხელს „იბერიას" მაღალი შედეგის მიღწევაში?**

— ჩვენს ფეხბურთელთა დღევანდელ თაობას ერთწლიან ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება არა აქვს, არადა, ყოველ დაკარგულ ქულას დიდი მნიშვნელობა ექნება. ერთი სიტყვით, საგაზაფხულო ჩემპიონატი სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

---

## გია იმნაძე
„გურია" ლანჩხუთი

# „პრობლემა... მაყურებელი"



**— პირველ რიგში, შეახსენეთ მკითხველებს გუნდში მომხდარი ცვლილებები.**

— „გურიის" შემადგენლობა შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ დატოვეს ლიტველმა ფეხბურთელებმა რომას მოჟეიკასმა და რობერტას ფრიდრიკასმა. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვეს მერაბ მეგრელაძემ, გელა კეტაშვილმა და მამუკა აფციაურმა. ასე რომ ჩვენი გუნდი შემადგენლობით ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

**— როგორ მოემზადა „გურია" ახალი სეზონისთვის?**

— პირველ ეტაპზე საწვრთნელი შეკრება ლაზა ალახაძეში ჩავატარეთ. აქ, წინა წლებისგან განსხვავებით არ გვქონდა სათანადო პირობები: არ იყო გათბობა, ცხელი წყალი. ამას დაემატა ფეხბურთელთა საკმაოდ ხშირი ავადმყოფობა. ბოლო საწვრთნელი შეკრება საკუთარ ბაზაზე გრიგოლეთში უფრო ნაყოფიერი გამოდგა.

**— საგაზაფხულო ჩემპიონატმა დამატებითი პრობლემები ხომ არ შეგიქმნათ?**

— განსაკუთრებული სირთულე ამას ჩვენთვის არ შეუქმნია. თუმცა, ჩვენ ყველა ფეხბურთელთან ერთწლიანი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული, რომელსაც ვადა 1991 წლის ბოლოს გადის, მაშინ, როცა მეორე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდება.

**— რა უნდა გაკეთდეს, რომ შეხვედრები ნორმალურ ვითარებაში ჩატარდეს?**

— მთავარ პრობლემად მიმაჩნია მინდვრების ხარისხი, მსაჯობის დონე და მაყურებელთა ქცევა. ბოლოს და ბოლოს გულშემატკივრები უნდა მიეჩვიონ იმას, რომ მათი საყვარელი გუნდი შეიძლება საკუთარ მოედანზეც დამარცხდეს და ეს ტრაგედიად არ უნდა გადააქციონ.

ესაუბრა ტატო ლასხიშვილი

---

## გივი ნოდია
„გორდა" რუსთავი

# ლოგიკა, არტისტიზმი, შედეგი



**— ბატონო გივი, აქვს თუ არა „გორდას" თამაშს თავისი ხელწერა, რაც მას სხვა გუნდებისაგან გამოარჩევს, თუნდაც შემადგენლობაში ცვლილებები მოხდეს.**

— გუნდის თამაშის ხელწერას მწვრთნელი ქმნის. ზოგ მწვრთნელს თავისი სქემა აქვს და ამის მიხედვით არჩევს ფეხბურთელებს. ასეთი მწვრთნელის საუკეთესო მაგალითია ლობანოვსკი. მე მწვრთნელთა მეორე კატეგორიის განვეკუთვნები, ვცდილობ, მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობიდან გამომდინარე განვსაზღვრო თამაშის ტაქტიკა, რათა მოედანზე ყველამ თავისი საუკეთესო მხარე გამოამჟღავნოს. ამიტომ, თუ გუნდის ბირთვი შეიცვალა, თავისთავად შეიცვლება თამაშის მანერაც.

**— შარშან რითი დარჩით უკმაყოფილო და რის გამოსწორებას აპირებთ?**

— „გორდაში" საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ მთელი გუნდის საქმისადმი დამოკიდებულებით სავსებით კმაყოფილი მაინც არა ვარ. მხედველობაში მაქვს, არა მხოლოდ მატჩები, არამედ გუნდის ყოველდღიური ცხოვრება. ხელს გვიშლის ცუდი პირობებიც. რუსთავშიც უნდა იყოს ისეთი საწვრთნელი ბაზა, როგორც „იბერიას" და „გურიას" აქვთ. პროფესიონალიზმი მარტო მაღალი ხელფასებით ხომ არ განისაზღვრება. რუსთავის ქარხნის მესვეურთა ხელშეწყობით, ვფიქრობ, მოკლე ხანში აქ ნამდვილად პროფესიული საფეხბურთო კლუბი შეიქმნება.

**— რა იქნება წელს „გორდას" ძლიერი მხარე?**

— გუნდში დიდი ცვლილებები არ არის. დაგვემატა ორი გამოცდილი ფეხბურთელი მაისურაძე და თორლაშვილი, მოვიდნენ ახალგაზრდებიც, მაგრამ ისინი წელსვე ალბათ ვერ დაიმკვიდრებენ ადგილს ძირითად შემადგენლობაში. ასე რომ, ბირთვი იგივეა, რაც იმას ნიშნავს რომ წელს უფრო შეთამაშებული გუნდი გვეყოლება.

**— ქართული ფეხბურთის სანახაობრივი მხარე და „გორდა". რას გვეტყოდით ამაზე?**

— შარშანდელი ჩემპიონატი, ცალკეულ მატჩებს თუ არ ჩავთვლით, ჩემი აზრით, სანახაობრივად არ გამოირჩეოდა. ახლა ლაპარაკობენ, რომ ეს პრობლემა მთელს მსოფლიოში მწვავედ დგას. გარდა ამისა, ჩვენ დღეს გაცილებით მეტ მატჩებს ვუყურებთ, ვიდრე ადრე, ასე რომ შეუძლებელია ყველა თამაშში ლამაზი იყოს. ამ მხრივ ჩვენზე, მწვრთნელებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. დაუკვირდით, როდის იქმნება ლამაზი მომენტი... მაშინ, როდესაც გუნდი აწყობილია და თამაშს თავისი ლოგიკა აქვს, ხოლო ფეხბურთელი, რომელიც მომენტში „არღვევს" ამ ლოგიკას და ვთქვათ კარში დარტყმის ნაცვლად აწვდის მოულოდნელ, ეფექტურ პასს. მაგრამ ლოგიკა რომ „დაირღვეს", აუცილებელია იგი არსებობდეს. ესე იგი, ჩამოუყალიბებელი გუნდი, სადაც მწვრთნელი ჯეროვნად ვერ მუშაობს, ლამაზად ვერ ითამაშებს.

**— ერთწრიანი ჩემპიონატი „გორდას" შედეგის მიღწევაში ხელს ხომ არ შეუშლის?**

— „გორდა" ალბათ ერთ-ერთი ლიდერთაგანი იქნება. ჩვენ ყოველი თამაშის მოსაგებად ვიბრძოლებთ, თუმცა ასეთი ჩემპიონატი სახიფათოა, ერთმა დაკარგულმა ქულამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს საბოლოო შედეგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტექნიკური შედეგები

## კალათბურთი

ჩემპიონთა თასი. ვაჟები. XI ტური. „კინგსტონი" (ინგლისი) — „ლიმოჟი" (საფრანგეთი) — 96:77 (46:41); გუნდების მდგომარეობა: „ბარსელონა" (ესპანეთი) — 10 შეხვედრიდან 9 მოგება, „არისი" (საბერძნეთი) და „პოპი-84" (იუგოსლავია) — 10-დან 6-6, „სკავოლინი" (იტალია) და „ბაიერი" (გერმანია) — 10-დან — 5-5, „კინგსტონი" — 11-დან — 4, „მაქაბი" (ისრაელი) — 10-დან — 4, „ლიმოჟი" — 11-დან — 2.

კორაჩის თასი. ნახევარფინალი. „კლიარი" (იტალია) — „მიულუზი" (საფრანგეთი) — 64:54 და 86:82, „რეალი" (ესპანეთი) — „მოვენტუტი" (ესპანეთი) — 80:74 და 71:76. ფინალში ხვდებიან „კლიარი" და „რეალი".

რონკეტის თასი. ქალები. ნახევარფინალი. „კომა" (იტალია) — „დორნა" (ესპანეთი) — 73:56 და 57:70, „ჩემიზი" (იტალია) — ცსკა (სსრკ) — 84:74 და 74:78. ფინალში ხვდებიან „კომა" — „ჩემიზი".

## ფრენბურთი

ჩემპიონთა თასი. ვაჟები ფინალური ტურნირი. მოდენა (იტალია). ნახევარფინალი. ცსკა (სსრკ). „ფრიჟიუსი" (საფრანგეთი). 3:0 (15:6, 16:14, 15:10), „მაქსიკონი" (იტალია) — „ფილიპსი" (იტალია) — 3:0 (15:12, 15:4, 15:8). ფინალი. ცსკა — „მაქსიკონი" — 3:1 (15:6, 15:17, 15:8, 15:10). მატჩი მესამე ადგილისათვის. „ფილიპსი" — „ფრიჟიუსი" — 3:2 (15:12, 15:6, 15:17, 5:15, 15:13).

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასის ეტაპი. ლეიკ-ლუიზე (კანადა). სწრაფდაშვება. ქალები. 1. საბინე გინტერი (ავსტრია) — 1.49,85; 2. შანტალ ბურნისენი (შვეიცარია) — 1.50,88; 3. სვეტლანა გლადიშევა (სსრკ) — 1.51,86. საერთო ჩათვლაში ლიდერობს პეტრა კრონბერგი (ავსტრია) — 293 ქულა; 2. კაროლ მერლე (საფრანგეთი) — 176; 3. გინტერი — 146.

ასპენი (აშშ). სწრაფდაშვება. ვაჟები. 1. ფრანც ჰაინცერი (შვეიცარია) — 1.44,89; 2. ატლე სკორდალი (ნორვეგია) — 1.45,16; 3. ჰელმუტ ჰოფლენერი (ავსტრია) — 1.50,38. საერთო ჩათვლაში ლიდერობს მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) — 215 ქულა; 2. ჰაინცერი — 164; 3. ალბერტო ტომბა (იტალია) — 142.

## წყალში ხტომა

საერთაშორისო ტურნირი „გაზაფხულის მერცხლები". მოსკოვი. 7-10 მარტი. ქალები. კოშკურა. 1. ემიროშინა (სსრკ) — 455,82; 2. იაფონინა (სსრკ) — 447,36; 3. ჩუუ ცზინშუნი (ჩინეთი) — 431,67. 1-მეტრიანი ტრამპლინი. 1. ილაშკო (სსრკ) — 285,72; 2. სოო ლანცზოუანი (ჩინეთი) — 267,72; 3. კილინა (სსრკ) — 260,28. 3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. იპისარევა — 548,82; 2. ილაშკო — 541,71; 3. კილინა (ყველა — სსრკ) — 533,88. ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. 1. ლანვეი (ჩინეთი) — 429,72; 2. მლენზი (აშშ) — 378,63; 3. ვ.სტაცენკო (სსრკ) — 358,50. 3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. მლენზი — 698,52; 2. კფერგიუსონი (ორივე-აშშ) — 685,50; 3. ლან ვეი (ჩინეთი) — 680,10. კოშკურა. 1. დ.საუტინი — 669,45; 2. აკვოჩინსკი (ორივე-სსრკ) — 664,65; 3. მსკოგინი (აშშ) — 652,98.

## ბიატლონი

მსოფლიო თასის ეტაპი. ჰოლმენკოლენი (ნორვეგია). ვაჟები. ესტაფეტა 4X7,5. 1. სსრკ — 1:28.46,2; 2. ნორვეგია-1 — 1:29.[illegible]8; 3. გერმანია — 1:30.16,8. ქალები. ესტაფეტა 3X7,5კმ. 1. გერმანია — 1:18.40; 2. სსრკ — 1:19.18.9; 3. ნორვეგია-1 — 1:21.12,4.

## კრივი

საერთაშორისო ტურნირი. ტაილანდი. ფინალური შეხვედრები შესდგებოდა ხუთი რაუნდისგან. 48კგ — ჩატიჩაი სასაკულმა (ტაილანდი) დაამარცხა ალექსანდრე ნალბანდიანი (სსრკ); 51კგ — იშტვან კოვაჩმა (უნგრეთი) — ლი ჩან კვანი (სამხრეთ კორეა); 54კგ — [illegible] კარონმა (კუბა) — სერაფიმ ტოდოროვი (ბულგარეთი); 57კგ — ერნანდო მესამ (კუბა) — რაიმან ბუნტჰომი (ტაილანდი); 60კგ — ჰულიო გონსალესმა (კუბა) — ლი ჩჟან კუნი (სამხრეთ კორეა); 63,5 — კანდელარიო ტუერგელმა (კუბა) — შონი მოზელვი (აშშ); 67კგ — ჰუან ერნანდესმა (კუბა) — ჩაინავონგი კანჰი (ტაილანდი); 71კგ — ჰუან ლემუსმა (კუბა) — ბერნდ შენკი (გერმანია); 75კგ — სვენ ოტკემ (გერმანია) — ორესტო სოლანი (კუბა); 81კგ — რობერტო ალვარესმა (კუბა) — გუნეს ფიქრეთი (თურქეთი); 91კგ — ფელიკს სავონმა (კუბა) — ბერტი ტოიპერტი (გერმანია); 91კგ ზევით — რობერტო მენდეზმა (კუბა) — ვართან ვართანიანი (სსრკ).

## თხილამურები

მსოფლიო თასის ეტაპი. ფალუნი (შვეცია). 15კმ თავისუფალი სტილით. ქალები. 1. ელენე ვალბე (სსრკ) — 36.58,3; 2. თამარა ტიხონოვა (სსრკ) — 38.15,1; 3. ლიუბოვ ეგოროვა (სსრკ) — 38.15,3. საერთო ჩათვლაში ვალბემ დააგროვა 195 ქულა და ბოლო ეტაპის შედეგების მიუხედავად დაეუფლა მსოფლიო თასს. 2. სტეფანია ბელმონდო (იტალია) — 119; 3. ეგოროვა — 114. ესტაფეტა 4X5კმ. 1. სსრკ — 57.38.1; 2. ნორვეგია — 57.40,9; 3. ფინეთი — 59.32,0. საერთო ჩათვლაში ლიდერობს ნორვეგია — 270 ქულა; 2. იტალია — 250; 3. სსრკ — 240. ვაჟები. 30კმ. თავისუფალი სტილით. 1. ჰენრიკ ფორსბერგი (შვეცია) — 1:10.31.7;

საერთო ჩათვლაში ალექსანდრე სმირნოვმა (სსრკ) დააგროვა 160 ქულა და ბოლო ეტაპის შედეგების მიუხედავად დაეუფლა მსოფლიო თასს. 2. ტორგნ მოგრენი (შვეცია); 3. ბორნ დელი (ნორვეგია) — 105.

## მძლეოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზში. სევილია (ესპანეთი) 8-10 მარტი. ვაჟები. 60მ. 1. აკესონი (აშშ) — 6,54; 2. ლკრისტი (დიდი ბრიტანეთი) — 6,55; 3. ჩიმო (ნიგერია) — 6.61. 200მ. 1. ნანტონოვი (ბულგარეთი) — 20,67; 2. ლ.კრისტი — 20,72; 3. ემეიფი (დიდი ბრიტანეთი) — 20,92. 400მ. 1. დმორისი (იამაიკა) — 46,17; 2. ს.კიტური (კენია) — 46,21; 3. კკორნეტი (ესპანეთი) — 46,52. 800მ. 1. ბ.ერენგი (კენია) — 1.47,08; 2. ტ.დი ტერესა (ესპანეთი) — 1.47,82; 3. სჰუგვეიფი (კანადა) — 1.47,88. 1500მ. 1. ნმორსელი (ალჟირი) — 3.41,57; 2. ფ.კაჩო (ესპანეთი) — 3.42,68; 3. მ.სილვა (პორტუგალია) — 3.43,85. 3000მ. 1. ფ.ომარა (ირლანდია) — 7.41,14; 2. ჰ.ბუტაიბ (მაროკო) — 7.43.64; 3. რ.დენმარკი (დიდი ბრიტანეთი) — 7.43,90. 60მ. თარჯებნი. 1. გ.ფოსტერი (აშშ) — 7.45; 2. ნ.კაზანოვი (სსრკ) — 7.47; 3. მ.მაკკოი (კანადა) — 7,48. 4X400 მ. 1. გერმანია — 3.03,05; 2. აშშ — 3.03,24; 3. იტალია — 3.05,51. სიარული. 5კმ. 1. მ.შჩენიკოვი (სსრკ) — 18.23,55; 2. დ.დებენედიქტისი (იტალია) — 18.23,60; 3. ფ.კოსტიუკევიჩი (სსრკ) — 18.47,05. სიგრძე. 1. დ.ჰაატი (გერმანია) — 815სმ; 2. ჰ.ჭეფერსონი (კუბა) — 804სმ; 3. დ.ევანჯელისტი (იტალია) — 793სმ. სიმაღლე. 1. ჰ.კონვეი (აშშ) — 240სმ; 2. აპატრიკა (პოლონეთი) — 237სმ; 3. აემელინი (სსრკ) და ჰ.სოტომაიორი (კუბა) — ორივე 231სმ. სამხტომი. 1. ილაპშინი — 17მ 31სმ; 2. ივოლოშინი (ორივე — სსრკ) — 17,04მ; 3. ტ.ჰენრიკსონი (შვეცია) — 16,80მ; ჭოკი. 1. ს.ბუბკა — 6 მ; 2. ვ.რიჟენკოვი (ორივე — სსრკ) — 5,80მ.; 3. ფ.სალბერი (საფრანგეთი) — 5,70მ. ბირთვი. 1. ვგიუნტერი (შვეიცარია) — 21მ 17სმ; 2. კბოდენმიულერი (ავსტრია) — 20მ 42სმ; 3. რ.ბენკსი (აშშ) — 20მ 06სმ.

ქალები. 60მ. 1. ისერგეევა (სსრკ) — 7,02; 2. მ.ოტი (იამაიკა) — 7,08; 3. ლ.ალენი (კუბა) — 7,12. 200მ. 1. მოტი — 22,24; 2. ისერგეევა — 22,41; 3. გ.ბრიოიერი (გერმანია) — 22,58. 400მ. 1. დ.დიქსონი (აშშ) — 50,64; 2. სმიერსი (ესპანეთი) — 51,1. 3. აპროტი (შვეიცარია) — 51,41. 800მ. 1. კვაჰტელი (გერმანია) — 2.01,51; 2. ვბეკლეა — 2.01,75; 3. ეკოვაჩი (ორივე — რუმინეთი) — 2.02,04. 1500მ. 1. ლროგაჩევა (სსრკ) — 4.05,09; 2. იკუბიშოვა (ჩეხეთ-სლოვაკეთი) — 4.06,22; 3. ტკიდუ (რუმინეთი) — 4.06,27. 3000მ. 1. მ.-პ.დიუბუა (საფრანგეთი) — 8.50,90. 4X400მ. 1. (გერმანია) — 3.27,22; 2. სსრკ — 3.27,95; 3. აშშ — 3.29,00. 60მ თარჯებნი. 1. ლ.ნაროჟილენკო (სსრკ) — 7,88; 2. მ.ევანი-ები (საფრანგეთი) — 7,90; 3. ალონბერი (კუბა) — 8,03. სიარული. 3კმ. 1. ბანდერსი (გერმანია) — 11.50,90; 2. კსაკსბი (ავსტრალია) — 12.03,21; 3. ისალვადორი (იტალია) — 12.07,57. სიგრძე. 1. ლბერეჟნაია (სსრკ) — 684სმ; 2. ჰ.დრეჰსლერი (გერმანია) — 682სმ; 3. მ.ილკუ (რუმინეთი) — 674. სიმაღლე. 1. ჰ.ჰენკელი (გერმანია) — 194სმ. სამხტომი (საჩვენებელი გამოსვლა). 1. იკრავეცი (სსრკ) — 14მ 44სმ; 2. ლი ჰუეირონი (ჩინეთი) — 13მ 98სმ; 3. სბოიანოვა (ბულგარეთი) — 13მ 62სმ. ბირთვი. 1. სი ჰიმნეი — 20მ 54სმ; 2. ხუან ჩუიხუანი (ორივე — ჩინეთი) — 20მ 58სმ; 3. ვლისოვსკაია (სსრკ) — 20მ 00სმ.

# მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები

**მაკლარენ-ჰონდა V12, „გუდ იარი"**
1. აირტონ სენა (ბრაზილია) 110-26
2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) 99-5

**ტირელ-ჰონდა V10, „პირელი"**
3. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია) 57-0
4. სტეფანო მოდენა (იტალია) 42-0

**უილიამს-რენო V10, „გუდ იარი"**
5. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი) 149-16
6. რიკარდო პატრეზე (იტალია) 208-3

**ბრებჰემ-იამაჰა V12, „პირელი"**
7. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი) 69-0
8. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი) 0-0

**ფუტუორკ-პორშე V12, „გუდ იარი"**
9. მიკელე ალბორეტო (იტალია) 144-5
10. ალექს კაფი (იტალია) 54-0

**ლოტუს-ჯადდ V8, „გუდ იარი"**
11. მიკა ჰაკინენი (ფინეთი) 0-0
12. მარტინ დონელი (დიდი ბრიტანეთი) 0-0

**ფონდმეტალ-ფორდ კოსუორთ V8, „გუდ იარი"**
14. ოლივიე გრუილიარი (საფრანგეთი) 21-0

**ლეიტონ ჰაუზ-ილმორ V10, „გუდ იარი"**
15. მაურიციუ გუჯელმინი (ბრაზილია) 42-0
16. ივან კაპელი (იტალია) 64-0

**AGS — ფორდ კოსუორთ V8, „გუდ იარი"**
17. გაბრიელე ტარკუინი (იტალია) 19-0
18. სტეფან იოჰანსონი (შვეცია) 78-0

**ბენეტონ-ფორდ V8, „პირელი"**
19. ნელსონ პიკე (ბრაზილია) 189-22
20. რობერტო მორენო (ბრაზილია) 10-0

**იტალია დალარა — ჯადდ V10, „პირელი"**
21. ემანუელე პირო (იტალია) 23-0
22. ირკი იარვილეჰტო „J.J. ლეჰტო" (ფინეთი) 7-0

**მინარდი — ფერარი V12, „გუდ იარი"**
23. პიერლუიჯი მარტინი (იტალია) 54-0
24. ჯანი მორბიდელი (იტალია) 3:0

**ლივიე-ლამბორჯინი V12, „გუდ იარი"**
25. ტიერი ბუტსენი (ბელგია) 121-3
26. ერიკ კომა (საფრანგეთი) 0-0

**ფერარი — ფერარი V12, „გუდ იარი"**
27. ალენ პროსტი (საფრანგეთი) 169-44
28. ჟან ალეზი (საფრანგეთი) 23-0

**ლოლა-ფორდ კოსუორთ V8, „გუდ იარი"**
29. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი) 18-0
30. აგური სუზუკი (იაპონია) 16-0

**კოლონი-ფორდ კოსუორთ V8, „გუდ იარი"**
31. პედრო ჩავესი (პორტუგალია) 0-0

**ჯორდან-ფორდ V8, „გუდ იარი"**
32. ბერტრან გაშო (ბელგია) 5-0
33. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია) 35-0

**მოდენა-ლამბორჯინი V12, „გუდ იარი"**
34. ნიკოლა ლარინი (იტალია) 35-0
35. ერიკ ვან დე პუელე (ბელგია) 0-0

შენიშვნა: პილოტის ნომრისა და ვინაობის შემდეგ მოდის დიდი პრიზის ეტაპებში მონაწილეთა და გამარჯვებათა რაოდენობა. გამოყოფილია მონაწილის გუნდის მონაცემები (მანქანა, ძრავა, საბურავები).

# ვანდალიზმი — ავტოსპორტშიც?

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ვანდალიზმის ამგვარი აქტი, ამ სიტყვის სრული ველური მნიშვნელობით, ჯერ არ ყოფილა ფორმულა 1 ავტორბოლების ისტორიაში. როგორც ყოველთვის, რბოლის წინ, „ლეიტონ ჰაუზის" მექანიკოსებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს გუნდის ავტომობილები და ღამის ორის ნახევარზე უკანასკნელებმა დასტოვეს გარაჟი. როცა მეორე დილას, შაბათს, რვის თხუთმეტ წუთზე ისინი სამუშაო ადგილზე დაბრუნდნენ, მათ საშინელი სურათი იხილეს: ერთ-ერთი მანქანის კორპუსი ღრმა ნაკაწრით დაემახინჯებინათ და ზეთის ტუმბო გაეხვრიტათ, დანარჩენი ორისთვის კი — საბურავები დაეჭრათ და ელექტრო გაყვანილობის ზონრები დაეგლიჯათ. ეს ავტოსპორტის საბჭოთა მოყვარულებს შეიძლება არც ისე მნიშვნელოვნად მოეჩვენოთ: დიდი ამბავი თუ მანქანა გაუკაწრიათო. ამ დროს, მცირე ავარიის შემთხვევაშიც კი კორპუსის გაუთვალისწინებელი რღვევა სწორედ დაზიანებულ ადგილას მოხდება და მრბოლის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. თანამედროვე მონოპოსტები პროექტირდება და გამოიცდება ისე, რომ შეჯახების შემთხვევაში ნაწილებად უნდა დაიშალონ, რათა დარტყმის ძალა შეამცირონ და ყველაფერზე ძვირფასი — მძღოლის სიცოცხლე გადაარჩინონ. ამ ვანდალური აქტის შედეგად კი ძარა სრულიად განსხვავებული სქემით დაიშლება.

ამ სურათის მხილველი შეჯიბრების ორგანიზატორები სასტად დარჩნენ. საკვალიფიკაციო რბოლა ხომ დილითვე უნდა დაწყებულიყო. როგორც დაზარალებული გუნდის დირექტორ-მენეჯერმა საიმონ კიბლმა განაცხადა ამ ამბავმა მექანიკოსებს უამრავი პრობლემა შეუქმნა. „მათ ამ ურთულესი ავტომობილების ყველა კვანძის დაშლა და თავიდან აწყობა დასჭირდათ. — დასძინა მან. — ეს ერთ დღე-ღამეში მათ იმ სამუშაოს შესრულება მოუწიათ, რასაც ჩვეულებრივ ერთ თვეს ანდომებენ. რაც შეეხება გავრცელებულ მითქმა-მოთქმას, ჩვენ საბაბი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს რომელიმე სხვა გუნდის ხრიკებია. უფრო სარწმუნოა, რომ დანაშაული ბოროტმოქმედებმა ჩაიდინეს პირველივე გარაჟში, სადაც შეაღწიეს".

ამის მერე „ლეიტონ ჰაუზის" ბოქსთან ორი მცველი დააყენეს. რამაც ყველაზე მეტი უხერხულობა რეპორტიორებს შეუქმნა.

ფორმულა 1 ავტომობილებით მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ამ ყველაზე პრესტიჟული ავტორბოლის ახალი წესები გამოაცხადა. ამიერიდან მსოფლიო ჩემპიონატში ქულების დარიცხვა იწარმოებს თექვსმეტი ეტაპიდან თორთმეტი საუკეთესო შედეგის მიხედვით (და არა თექვსმეტივე შედეგის მიხედვით, როგორც „სოვეტსკი სპორტი" იუწყებოდა — რედ.). ადრე საბოლოო შედეგი გამოჰყავდათ თერთმეტი საუკეთესო მაჩვენებლის შეჯამებით. ამასთანავე „გრან პრის" გამარჯვებულს უწინდელივით ცხრა ქულა კი არ დაერიცხება, არამედ ათი ქულა. მომდევნო ადგილებისთვის ქულების რაოდენობა ძველებური დარჩა (6,4,3,2,1).

მსოფლიო ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა, აშშ-ის „გრან პრიმ" ფენიქსის (არიზონას შტატი) ქალაქის ტრასაზე დაგვანახა, რომ ორ ტრადიციულ მეტოქეს, „მაკლარენსა" და „ფერარის", კიდევ, როგორც მინიმუმი, „ბენეტონი" და, შესაძლოა, „ტირელი" დაემატება. სენა, რომელმაც საკვალიფიკაციო რბოლაში 53-ე გამარჯვება მოიპოვა, მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერობდა. იგი პროსტს ორი წლის მერე უკვე ორ წამს უგებდა და შემდგომში მეთოდურად ანვითარებდა უპირატესობას. 47-ე წრეზე სენა უკვე 31 წამს იგებდა და მშვიდად შევიდა ბოქსში საბურავების გამოსაცვლელად. ამ მომენტისთვის ალენ პროსტისა და ჟან ალეზის ორი „ფერარი" და ნელსონ პიკეს „ბენეტონი" მხოლოდ მეორე-მესამე ადგილებისთვის ბრძოლის შესაძლებლობას ინარჩუნებენ. პროსტი თვლის, რომ იგი მთელი რბოლის მანძილზე ცდილობდა სენას დაწევას, მაგრამ აუცილებელი სისწრაფე ვერ გამოიჩინა. „დღეს ჩვენ ვერ ვიხილეთ ნამდვილი „ფერარი", — თქვა მან. — თანაც, მე მომიწია მეორედ, დაუგეგმავად გამომეცვალა საბურავები. თუმცა ეს დროის დაკარგვა რომ არა, მე მაინც ვერაფრით მოვახერხებდი ამ ბრძოლის მოგებას".

მესამე ადგილზე გასულ ბრაზილიელ ნელსონ პიკეს ფორმულა 1-ში მისმა 189-ე სტარტმა საკმაო მღელვარება მოუტანა. ყველაზე დრამატული რბოლის 50-ე და ბოლო 81-ე წრები იყო. პირველ შემთხვევაში მკვეთრი მოსახვევიდან გამოსულმა პიკემ უცებ შუა ტრასაზე გაშეშებული რიკარდო პატრეზეს „უილიამსი" დაინახა და მხოლოდ უმაღლესი კლასის პროფესიონალიზმისა და რეაქციის მეშვეობით შეძლო რამდენიმე დიუიმით აცდენოდა მას. მაგალითად, პიკეს შემდეგ მომავალმა რობერტო მორენომ ვერ შეძლო გვერდის აქცევა. მეორე შემთხვევაში პიკემ ძლივს აუარა გვერდი „ჯორდან-ფორდს", როცა ბერტრან გაშომ დაკარგა მასზე კონტროლი. არც „უილიამსში" დაბრუნებულ ნაიჯელ მენსელს გაუმართლა. 35-ე წრეზე იგი გამოეთიშა რბოლას სიჩქარეების ნახევრადავტომატური კოლოფის დაზიანების გამო. ფინიშის ხაზი ვერც ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა გადაკვეთა თავისი „მაკლარენით". ამ შემთხვევაში საწვავის მიწოდების პრობლემამ იჩინა თავი. საბოლოოდ სტარტზე გამოსული 26 მრბოლიდან ფინიშამდე მხოლოდ 12 მივიდა.

აშშ-ს „გრან პრის" შედეგები (81 წრე, საერთო სიგრძე 301,376 კმ; საუკეთესო დრო ერთ წრეზე (3,720 კმ): ჟან ალეზი — 1.26,758(154,888 კმ/სთ).

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი") — 2:00.47,828(149,693 კმ/სთ);

2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") — ჩამორჩა 16,322; 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი") — 17,376; 4. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი") — 25,409; 5. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტირელი") — 1 წრე; 6. აგური სუზუკი (იაპონია, „ლაროს ლოლა") — 2; 7. ნიკოლა ლარინი (იტალია, „მოდენა") — 3; 8. გაბრიელე ტარკუინი (იტალია, AGS) — 4; 9. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი") — 6; 10. ბერტრან გაშო (ბელგია, „ჯორდანი") — 6; 11. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი") — 8; 12. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — 9.

ფინიშამდე ვერ მივიდნენ: 13. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი") — 22 წრე; 14. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი") — 32; 15. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი") — 32; 16. მიკელე ალბორეტო (იტალია, „ფუტუორკი") — 40; 17. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუზი") — 41; 18. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლივიე") — 41; 19. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი") — 45; 20. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი") — 46; 21. მაურიციუ გუჯელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ ჰაუზი") — 47; 22. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი") — 49; 23. ემანუელ პირო (იტალია, „დალარა") — 65; 24. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი") — 66; 25. ლეჰტო (ფინეთი, „დალარა") — 69; 26. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლაროსი") — 77.

საერთო ჩათვლა. მრბოლები: 1. აირტონ სენა — 10 ქულა; 2. ალენ პროსტი — 6; 3. ნელსონ პიკე — 4; 4. სტეფანო მოდენა — 3; 5. სატორუ ნაკაჯიმა — 2; 6. აგური სუზუკი — 1. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 10; 2. ფერარი — 6; 3. ტირელი — 5; 4. ბენეტონი — 4; 5. ლოლა — 1.

ბორის მიხაილოვი,
საკდესის კორესპონდენტი
სპეციალურად „სარბიელისთვის".

## აირტონ სენა
(ბრაზილია)



დაიბადა 1960 წლის 21 მარ[illegible] სან პაულოში, სიმაღლე 175 სმ, წონა [illegible].

ფორმულა 1 მონოპოსტებით რბოლაში სენამ დებიუტი შედგა 1984 წელს, რიო დე ჟანეიროში, ბრაზილიის დიდი [illegible] გათამაშებისას. 24 წლის პილოტ[illegible] პირველივე წელს 13 ქულით უძლიერესთა ათეულში მოხვდა. მომდევნო ჩემპიონატში მან ორი დიდი პრიზი მოიგო ([illegible] გალიასა და ბელგიაში) და საბ[illegible] საპატიო მეოთხე ადგილი დაიკ[illegible].

1988 წელს სენა „ჰონდას" [illegible] ძრავიანი „მაკლარენის" საჭეს [illegible] და ახალ გუნდში მიაღწია [illegible] სპორტულ კარიერაში ყვე[illegible] მნიშვნელოვან წარმატებას — [illegible] (1988, 1990 წ.) გახდა მსოფლიო ჩ[illegible].

[illegible] სულ 111 დიდი [illegible] გათამაშებაში მიიღო მონაწ[illegible] მოიგო 27 და საერთო ჯამში 40[illegible] დააგროვა.

როგორც ხედავთ, სენა საშუ[illegible] ყოველ მეოთხე რბოლას იგებს. [illegible] ძალზე მაღალი მაჩვენებელია.

## ...ლისი

...ართა ინგლისის თასის გა... ...ბის მეოთხედფინალური შეხვედ... „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ შინ ... მეორე ლიგის გუნდს „ნოთს ...“ — 2:1. ანგარიში სტუმრებმა ..., მაგრამ მეორე ტაიმში მას... ...ებმა შეძლეს მდგომარეობის გა... ...რება. გადამწყვეტი ბურთი პოლ ...ინმა გაიტანა, რომელიც ტრავმის ...დავად გამოვიდა მოედანზე. მატ... ...როს გასქოინმა მუცლის კუნთი და... ...ა და იგი საავადმყოფოში მოათავ... ...ადაც ოპერაცია გაუკეთდება.

...ველი ლიგის ლიდერი „არსენალი“ ...ე ლიგის „კემბრიჯ იუნაიტედს“ ...ნძლობდა. მატჩის წინ „კემბრიჯის“ ...თნელმა ჯონ ბექმა თქვა, რომ თა... ...ს წაგების არ ეშინოდა: „ჩვენ ვი... ...შებთ, როგორც შეგვიძლია, მატჩის ... კი დავთვრებით, რა ანგარიშითაც ...უნდა დამთავრდეს თამაში“.

„...სენალს“ ძალიან გაუჭირდა თა... ...მ მესამე ლიგის მეტოქე გუნდთან. ...ცა ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს ...ელი), მეორე ტაიმში „კემბრიჯმა“ ...ასწორობა აღადგინა. ლონდო... ...ებს გამარჯვება გუნდის კაპიტანის ... ადამსის ზუსტმა თავურმა ...ტყმამ მოუტანა — 2:1.

...ორიჩში ერთმანეთს პირველი ლიგის ...ნდები — „ნორიჩ სიტი“ და „...ტინგემ ფორესტი“ შეხვდნენ. დაძაბულ მატჩში გაიმარჯვა „ნოტინგემმა“ — 0:1. გოლი 61-ე წუთზე ირლანდიელმა ფეხბურთელმა როი ქინმა გაიტანა. ქინი, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე „ნოტინგემის“ მწვრთნელმა კლაფმა ჩალის ფასად შეიძინა, თავის პირველ სეზონს ატარებს ინგლისის ლიგაში.

ნახევარფინალში მეორე ლიგის ერთადერთმა გუნდმა გააღწია — „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“, რომელმაც „ევერტონს“ მოუგო (2:1). გოლები გაიტანეს ფოსტერმა და სლეიტერმა („ვესტ ჰემი“) და უოტსონმა („ევერტონი“).

ამრიგად, დარჩენილი ოთხი გუნდიდან სამი ლონდონს წარმოადგენს. 14 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან: „ნოტინგემ ფორესტი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპური“ — „არსენალი“. ეს უკანასკნელი მატჩი „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება, რაც ტრადიციის დარღვევაა — „უემბლიზე“ თასის ნახევარფინალი ჯერ არასდროს ჩატარებულა.

ჩატარდა აგრეთვე ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. „ლივერპულმა“ სტუმრად მოუგო „მანჩესტერ სიტის“ — 3:0. იან მოლბიმ ორი თერთმეტმეტრიანი გაიტანა (39-ე და 44-ე წუთებზე), მატჩის ბოლოს კი ბარნსმა კიდევ ერთხელ აიძულა „სიტის“ მეკარე კარის ბადიდან გამოეტანა ბურთი.

35 ათასმა მაყურებელმა საეჭვოდ მიიჩნია მსაჯის მიერ დანიშნული პენალტები და მატჩის შემდეგ გამაყრუებელი სტვენა აუტეხა მსაჯს ჯორჯ კურტნის.

მატჩის წინ „ლივერპულის“ პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე რონი მორანი უხელმძღვანელებს. როგორც სან-სებასტიანის გაზეთი „დიარიო ვასკო“ იუწყება, ჯონ ტოშაკმა უარი თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელობაზე. ტოშაკს ხუთწლიანი ხელშეკრულება აქვს დადებული სან-სებასტიანის „რეალთან“ და როგორც აცხადებს, არსად წასვლას არ აპირებს.

მესამე ადგილზე კვლავ „კრისტალი“ იმყოფება, რომელმაც თომასის ორი გოლის წყალობით დაამარცხა „საუთჰემპტონი“ — 2:1. სხვა მატჩები: „ასტონ ვილა“ — „ლუტონი“ 1:2, „ჩელსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:2, „ლიდსი“ — „კოვენტრი“ 2:0, „სანდერლენდი“ — „შეფილდი“ 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 26 | 17 | 8 | 1 | 48-12 | 57 |
| „ლივერპული“ | 27 | 17 | 6 | 4 | 50-28 | 57 |
| „კრისტალ პალასი“ | 28 | 15 | 7 | 6 | 37-31 | 52 |
| „ლიდსი იუნაიტედი“ | 26 | 13 | 7 | 6 | 40-26 | 46 |
| „მანჩესტერ იუნ.“ | 27 | 11 | 8 | 8 | 40-32 | 40 |

## ევროპის ჩემპიონატი

### VI ჯგუფი

### ჰოლანდია — მალტა 1:0

ამ გუნდების პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, როცა სამი თვის წინ ჰოლანდიელებმა მალტის ნაკრები გაანადგურეს, ამჯერად, როტერდამში, მასპინძლები მინიმალური ანგარიშით დაკმაყოფილდნენ. ერთადერთი გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით მატჩის 31-ე წუთზე მარკო ვან ბასტენმა გაიტანა.

17 აპრილს ჰოლანდიის ნაკრები ფინეთის გუნდს უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| ჰოლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 11-1 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 4 |
| ფინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 1-20 | 1 |

## საფეხბურთო რუკასთან

მადრიდის „ატლეტიკოს“ მეკარემ აბელმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მას ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში უკვე ზედიზედ 1230 წუთის განმავლობაში არ გაუშვა ბურთი. 25-ე ტურში „ატლეტიკომ“ სტუმრად მოუგო „ოსასუნას“ — 3:0. მასპინძლებმა, გამუდმებული შეტევების მიუხედავად, აბელის კარის აღება ვერ მოახერხეს, მატჩის მიწურულს კი სამი გოლი გაუშვეს (სოლოსაბალი — 2, მანოლო).

ბილბაოს „ატლეტიკო“ დამარცხდა „ბარსელონასთან“ 0:6. ოთხი ბურთი გაიტანა ბულგარელმა სტოიჩკოვმა. ბილბაოელებმა საკუთარ მოედანზე ასეთი გამანადგურებელი დამარცხება უკანასკნელად ორმოცი წლის წინ განიცადეს.

„ატლეტიკის“ კლუბის ხელმძღვანელობამ გააფრთხილა გუნდის მწვრთნელი კლემენტე, რომ მორიგ ტურში „კასტელიონთან“ წაგების შემთხვევაში მას გაათავისუფლებენ. ზედიზედ მეხუთე წაგების შემდეგ „ატლეტიკო“ აუტსაიდერთა შორის იმყოფება. პირველ ადგილზე კი კვლავ „ბარსელონაა“ — 42 ქულა. მადრიდის „ატლეტიკო“ ლიდერს 5 ქულით ჩამორჩება.

კვირის მატჩების შემდეგ კიდევ ერთმა კლუბმა — „ბეტისმა“ შეცვალა მწვრთნელი. სევილიის გუნდის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლა რომერო და დანიშნა „ბეტისის“ ყოფილი მეკარე, 44 წლის ესნაოლა. „ბეტისი“ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ადგილზეა.

14 აპრილისთვის დანიშნულია მადრიდის „რეალის“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი იღებს მონაწილეობას, მათ შორის რამონ მენდოსა, რომელსაც ეს თანამდებობა შვიდი წელია უკავია. როგორც ესპანეთის პრესა იუწყება, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მენდოსა გუნდის მწვრთნელად დი სტეფანოს მაგივრად კოლუმბიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ფრანსისკო მატურანას მოწვევას აპირებს. მატურანა ახლა „ვალიადოლიდს“ უდგას სათავეში.

მომავალი სეზონიდან „ვალენსიას“ ახალი მწვრთნელი ეყოლება — ურუგვაელ ვიქტორ ესპარაგოს ჰოლანდიელი ხუუს ჰიდინკი შეცვლის.

ბელგიაში „ანდერლეხტმა“ მოუგო „კორტრაიკს“ (3:0) და დაეწია „გენტს“. ახლა ორივე გუნდს 39-39 ქულა აქვს. „გენტი“ დამარცხდა „ჟერმინალთან“ 1:3. აღსანიშნავია, რომ „ჟერმინალმა“ ორი კვირის წინ „ანდერლეხტი“ დაამარცხა, ახლა კი ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტს „გენტს“ გაუსწორდა.

ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „გრონინგენმა“ მოუგო „სპარტას“ (4:0) და კვლავ მეორე ადგილზე იმყოფება. „გრონინგენი“ 2 ქულით ჩამორჩება „ეინდჰოვენს“, რომელსაც ამ ტურში არ უთამაშია. თასის მეოთხედფინალის მატჩში „ფეიენოორდმა“ მოუგო „დორდრეხტ 90“-ს (3:1) და ნახევარფინალში გავიდა. „ფეიენოორდის“ გარდა ნახევარფინალში ითამაშებენ „ეინდჰოვენი“, „დენ ბოსხი“ და „როდა“.

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ინტერმა“ მოუგო „იუვენტუსს“ 2:0, ასეთივე ანგარიშით „სამპდორიამ“ დაამარცხა „მილანი“. „ინტერი“ და „სამპდორია“ 35-35 ქულით სათავეში უდგანან სატურნირო ცხრილს.

თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „ნაპოლიმ“ მოუგო „სამპდორიას“ — 1:0. გოლი 22-ე წუთზე თავური დარტყმით დიეგო მარადონამ გაიტანა.

მეორე ნახევარფინალში შეხვდნენ „მილანი“ და „რომა“. „მილანს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა — დონადონი, ვან ბასტენი, გულიტი (ჰოლანდიელი ფეხბურთელები თავისი ქვეყნის ნაკრებში გამოიძახეს). მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.



## ცვლილებები... კოლოსკოვის სასარგებლოდ

8 მარტს გაიმართა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია, არჩიეს ახალი ხელმძღვანელობა.

ფედერაციის უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ნაკომინიჩმა (რომელიც მანამდე ამჯარა თავნებობით გამოირჩეოდა და ყველანაირად უშლიდა ხელს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის საკავშირო ფედერაციისაგან გამოყოფას) არჩევნებში ... არ იყარა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხუთმა დელეგატმა: მუნტიანმა, ...ნკოვმა, ბეზნოსენკომ (ე.წ. „კოლოსკოვის ბლოკი“), ბანიკოვმა („ცენტრისტი“) და ბაზილევიჩმა („რადიკალი“).

ბაზილევიჩის პროგრამის წარდგინების შემდეგ, რომელიც საკავშირო ფედერაციისაგან სრულ გამოყოფას მოითხოვდა, ცხადი გახდა, რომ იგი არჩევნებში ვერ გაიმარჯვებდა და რადიკალებმა მისი მეთაურობით დატოვეს დარბაზი. მათ მხარი დაუჭირეს ჟურნალისტთა უმრავლესობამ და ვეტერანმა ფეხბურთელებმა — ტროშკინმა, ონიშჩენკომ და ბესონოვმა.

არჩევნებიც რადიკალების გარეშე ჩატარდა. პრეზიდენტად აირჩიეს წარსულში ცნობილი მეკარე ვიქტორ ბანიკოვი, რომელიც შარშან ზაფხულში „სუპერრადიკალი“ იყო, მაგრამ ახლა სხვა პოზიციაზე დგას. მისი პროგრამაც შედარებით ფრთხილი გახლდათ.

სხვათა შორის, კონფერენციას ესწრებოდა საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტი ვ. კოლოსკოვი. მიუხედავად იმისა, რომ იყო ბევრი შეურაცხმყოფელი შეძახილი და ჟესტი მისი მისამართით, მაინც გააკეთა თავისი საქმე — უკრაინის ფედერაციაში „საჭირო ხალხის“ შეყვანა მოახერხა. ამგვარად, უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია კვლავ დარჩა ე.წ. „კოლოსკოვის ფილიალად“.

სალმა აზრმა, სამწუხაროდ, ვერც ამჯერად გაიმარჯვა. მაგრამ არის დამაიმედებელი მომენტებიც. კონფერენციაზე გამოვიდა უკრაინის პარლამენტის ფიზკულტურისა და სპორტის ქვეკომისიის თავმჯდომარე ი. ვენგიორი. მან დელეგატებს გააცნო უკრაინის პრეზიდენტის ლ. კრავჩუკის მოსაზრება. კრავჩუკს, თურმე, უთქვამს, რომ 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე უკრაინამ დამოუკიდებელი გუნდით უნდა იასპარეზოსო. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში უნდა არსებობდეს 6 დამოუკიდებელი სპორტული ფედერაცია. როგორც ამბობენ, სუვერენიტეტის მიღწევას სწორედ ფეხბურთიდან დაიწყებენ.

წლეულს ძალაში უნდა შევიდეს უკრაინის ახალი კონსტიტუცია, რომელზეც ბევრად იქნება დამოკიდებული უკრაინის სპორტის ბედიც. კრავჩუკს სურს სუვერენიტეტი, მაგრამ არ მიდის პირდაპირი გზით. „ცენტრთან“ ურთიერთობის გამწვავებას ერიდება.

კიევის „დინამო“, რომელიც ყველაზე მეტს კარგავს საკავშირო ჩემპიონატის მიტოვებით, რეგულარულად აწარმოებს მოლაპარაკებას ფიფა-ს წარმომადგენლებთან, მაგრამ ფიფა. ჯერჯერობით თავს იკავებს და აცხადებს, რომ პოლიტიკურ ცვლილებებს ელოდება.

ასევე პოლიტიკურ ცვლილებებს ელოდება უკრაინული ფეხბურთიც. მისი ბედი მთლიანად პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

**დმიტრი ალექსანდრენკო,**
გაზეთ „სპორტივნა გაზეტას“ ფეხბურთის განყოფილების გამგე.
სპეციალურად „სარბიელისათვის“



შარშან აზრიკ ცვეიბას ყოფილმა თანაკლუბელებმა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედლები მიიღეს, ცვეიბამ — სსრ კავშირის ჩემპიონისა.

## ბერნდ შუსტერი — მარადიული ამოცანა

მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრები სასოწარკვეთილი არიან. მათი საყვარელი გუნდი წლევანდელ სეზონში მარცხს მარცხზე განიცდის. ამის მიზეზს ისინი გუნდიდან გერმანელი ფეხბურთელის ბერნდ შუსტერის წასვლაში ხედავენ. სინანულს არც არანაკლებ ცნობილი „ბარსელონის“ ხელმძღვანელობა მალავს, რომელმაც თავის დროზე ეს ქერა ფეხბურთელი „რეალს“ დაუთმო. თვით გერმანიაში ახლაც დარწმუნებული არიან, რომ ეროვნული ნაკრები მისი დახმარებით უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევდა.

ბერნდ შუსტერი, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა „ბარსელონასაც“ და „რეალსაც“, მაგრამ კატეგორიულ უარს აცხადებდა გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე, არაფერს ნანობს და მშვენივრად გრძნობს თავს დედაქალაქის მეორე კლუბში — „ატლეტიკოში“, ერთადერთ გუნდში, რომელსაც შეუძლია „ბარსელონას“ ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონის ტიტული შეეცილოს.

შარშანდლამდე, სანამ 31 წლის შუსტერი „ატლეტიკოში“ მოვიდოდა, გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მეათე ადგილზე იყო. შუსტერთან ერთად მადრიდელებმა შეძლეს მეორე ადგილზე გასვლა და მომდევნო ტურებში უფრო მეტი ქულა დააგროვეს, ვიდრე გათამაშების ლიდერმა „ბარსელონამ“. მაგრამ მთავარი ეს არ არის: თვისებრივად შეიცვალა გუნდის თამაში, ამაღლდა შედეგიანობა, უფრო საიმედო გახდა დაცვა. „ატლეტიკოს“ ფეხბურთელებიც აღიარებენ, რომ ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღვის შუსტერს. „ბერნდის მოსვლა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, — ამბობს გუნდის საუკეთესო ბომბარდირი მანოლო სანჩესი. — მასთან ერთად მინდორზე ბევრად უფრო დაჯერებულად ვგრძნობთ თავს. შუსტერი ბრწყინვალედ გრძნობს თამაშს, პასის სიზუსტეში კი მას ბადალი არა ჰყავს“.

ფეხბურთის ექსპერტთა აზრით, შუსტერისთვის ფეხბურთში საიდუმლო არ არსებობს. დაცვაში იგი ყოველნაირად საიმედოა, მინდვრის ცენტრში — შეუდარებელი დისპეტჩერი, შეტევაში კი თამამად, შეუპოვრად, აზრიანად თამაშობს. პროფესიულ ფეხბურთში გატარებული ცამეტი წლის მანძილზე, საიდანაც თერთმეტი წელი ესპანეთში თამაშობს, შუსტერმა ყველაფერი უნაკლოდ შეისწავლა.

„მე ძალიან კარგად ვიცნობ ესპანეთის ლიგას და აქ ჩემთვის დაფარული არაფერია, — ამტკიცებს შუსტერი, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ესპანური ფეხბურთის სამი გრანდის — „რეალის“, „ბარსელონასა“ და „ატლეტიკოს“ შემადგენლობებში ითამაშა.

მაგრამ ამ სიბრძნისთვის მას ადვილად არ მიუღწევია. 80-იანი წლების საუკეთესო ნახევარმცველმა გფრ-ს ნაკრების შემადგენლობაში 1979-1983 წლებში სულ 21 მატჩი ითამაშა. შუსტერმა დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის ნაკრების გამარჯვებაში 1980 წლის ევროპის ჩემპიონატში, მაგრამ არასდროს უთამაშია მსოფლიო პირველობის ფინალში. 1982 წელს, როდესაც ტურნირი ესპანეთში ჩატარდა, იგი ტრავმირებული იყო. 1986 წელს, როდესაც ფრანც ბეკენბაუერმა შესთავაზა „ადგილი“ მექსიკაში გასამგზავრებლად, მან ყველასთვის მოულოდნელად, უარი განაცხადა. იტალიაში, სადაც გფრ-ის ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა, იგი გუნდში აღარ მიიწვიეს.

„აღარ მსურს ლაპარაკი ნაკრებში ჩემი თამაშის შესახებ. ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. მე არ ვწუწუნებ, მიუხედავად იმისა, რომ მესმის — მეტის მიღწევა შემეძლო, ვიდრე მხოლოდ კლუბების დონეზე თამაშის დროს“ — ამბობს შუსტერი.

„ბარსელონაში“ იგი 1980 წელს მოხვდა თავისი თანამემამულის. ცნობილი მწვრთნელის უდო ლატეკის რეკომენდაციით. მაგრამ გუნდის სხვა წევრებთან და საგადასახადო სამსახურებთან კონფლიქტების გამო „ბარსელონის“ ხელმძღვანელობა მალე „შეელია“ გუნდის ახალ წევრს. შუსტერი „რეალში“ გადავიდა და ადვილად შეეწყო ახალ კოლექტივს, რომელთან ერთადაც ორჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის წოდება, მაგრამ ფიცხმა ხასიათმა თავისი ქნა და... სეზონების შუაში შუსტერმა უარი თქვა ამერიკულ ტურნეში ცოლ-შვილის გარეშე გამგზავრებაზე. იგი გუნდიდან დაითხოვეს. ოთხი თვის განმავლობაში ფეხბურთელი მარტო ვარჯიშობდა, შემდეგ კი მიწვევა მიიღო „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობისგან.

„ახლა მხოლოდ ერთზე ვოცნებობ, ჩემპიონატში გავუსწრო „ბარსელონასა“ და „რეალს“. შემდეგ პენსიაზეც შეიძლება ფიქრი“ — ამბობს ბერნდ შუსტერი.

მოამზადა
**შალვა შალოლაშვილმა.**

# საუკეთესო წლები წინაა



— ბევრს ჰგონია, რომ ჩემი სპორტული კარიერა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ეს ასე არ არის. — თქვა სახელგანთქმულმა ივან ლენდლმა. — მე ვგრძნობ, რომ უწინდებურად შემიძლია თამაში, სულ ცოტა, კიდევ სამ წელიწადს მაინც, თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ წემდეგ თავს დავანებებ თამაშს. იმ დღემდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა.

წლევანდელი სეზონი მეცამეტეა 31 წლის სპორტსმენისათვის პროფესიულ სპორტში. ყველაფრიდან ჩანს, რომ ლენდლი ავსავსეა ოპტიმიზმით და წლევანდელ სეზონში მისი წარუმატებელი სტარტი სრულებითაც არ ნიშნავს მისი კარიერის დასასრულის დასაწყისს. პირიქით, იგი არაფრის დათმობას არ აპირებს და მზად არის იბრძოლოს ყველა დონეზე.

— ჩემი შედეგების გაუარესება, ვფიქრობ, დროებითია. ახალ სეზონში მინდა მთელი ყურადღება დავუთმო შეჯიბრებებს მიწის კორტებზე, რომლებშიც შარშან მონაწილეობა არ მიმიღია. ვფიქრობ, მალე აღვიდგენ დაკარგულს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩოგნების ექსპერიმენტმა მოახდინა გავლენა თქვენს შარშანდელ შედეგებზე?**

— არა მგონია. სხვაგვარად ასეთ რისკზე არ წავიდოდი. სამთვენახევარი დიდსალტიანი ჩოგნით ვთამაშობდი და როდესაც ძველ მოდელს დავუბრუნდი, ათი დღეც კი არ დამჭირვებია ჩვეული ფორმის აღსადგენად.

**— ხომ არ უმოქმედია თქვენზე იმას, რომ შარშან პირველი ჩოგბურთელის წოდება ეკბერგს მიენიჭა?**

— არა. მე კორტზე კლასიფიკაციაში ადგილის შესანარჩუნებლად არ გამოვდივარ. უწინარეს ყოვლისა, სიამოვნებას მანიჭებს თამაში.

**— რა არის, თქვენი აზრით, ჩოგბურთის ევოლუციის ყველაზე არსებითი ნიშანი?**

— ათლეტიზმი. დღევანდელი ჩოგბურთელის ნიმუში ფიზიკურად კარგად მომზადებული ათლეტია.

**— წარსულს თუ გადახედავთ, რომელი წლის ლენდლს თვლით უძლიერესად?**

— ვფიქრობ, ეს პერიოდი ჯერ არ დამდგარა. ლენდლი ყველაზე ძლიერი იქნება 1992 ან 1993 წლებში, რადგან ვგრძნობ, რომ მხოლოდ ახლა ვიწყებ თამაშის გაგებას.

**— კორტებზე გატარებული ამდენი წლის შემდეგ?**

— დიახ. მე ახლა უფრო დიდ კმაყოფილებას მანიჭებს ის, რასაც ვაკეთებ.

**— კი მაგრამ, წლების ხამძიმე? არ მოქმედებს ეს ფაქტორი ფიზიკურ კონდიციებზე, სისწრაფეზე?**

— ჩოგბურთელისთვის, რომელიც „თავს უვლის", საუკეთესო წლებია 30-დან 35-მდე, როგორც მარათონელისთვის. დატვირთვა „დიდი მუზარადის" ტურნირებში ისეთივეა, როგორიც გრძელ დისტანციებზე სირბილის დროს. კვლავინდებურად დიდ დროს ვუთმობ გამძლეობას, ისევე როგორც სისწრაფის შენარჩუნებას, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს. მაგრამ სისწრაფე მთავარი არ არის. ხუთსეტიან მატჩში სისწრაფის გამო შეიძლება დაკარგო 2-3 ქულა, მაგრამ მოიგო 20, თუ ინარჩუნებ ათლეტური მომზადების მაღალ დონეს. მე ყოველთვის ვცდილობდი შემენარჩუნებინა მაღალი დონე და ამიტომ მოუთმენლად ველოდები რას მომიტანს უახლოესი ორი-სამი წელი.

**— ამ ზაფხულს თქვენი მეუღლე ემობის „წინასწარმეტყველებით", ტყუპებს ელოდება.**

— ტყუპების ამქვეყნად მოვლინების დრო ემთხვევა ჩემს გამოსვლებს უიმბლდონის ტურნირში და მე ძალზე მოწყენილი ვიქნები ლონდონში ახლობლების გარეშე. თუმცა, იმედი მაქვს, ეს არ იმოქმედებს ჩემს თამაშზე.

**— რისი მიღწევა გსურთ, სანამ გამოსვლებს დაამთავრებდეთ?**

— რა თქმა უნდა, ესაა გამარჯვება უიმბლდონში და „დიდი მუზარადის" სხვა ტურნირებში. იმედი მაქვს, უახლოესი ორი-სამი წელი საუკეთესო იქნება ჩემს სპორტულ კარიერაში და ჩემი თამაშიც აპოგეას მიაღწევს.

# მშვენიერი ჩემპიონი

იამაიკელ მორბენალ მერლინ ოტის შარშანდელ სეზონში საუკეთესო შედეგები ჰქონდა მსოფლიოში სპრინტერულ დისტანციებზე — 100 და 200 მეტრზე რბენაში. და ამას მან მიაღწია 30 წლის ასაკში! გასაკვირი ის კი არ არის, რომ სპრინტერი ამდენ ხანს შემორჩა სპორტს, რადგან ვეტერან მძლეოსნებს ისე უჭირთ სპორტთან გამოთხოვება, როგორც, ვთქვათ, „ბალზაკის ასაკის" ქალებს — ახალგაზრდობასთან. საოცარია ოტის შედეგების ზრდის დინამიკა, რადგან სპრინტში უფრო ახალგაზრდობა მეფობს. მან კი საოცნებო შედეგებს მხოლოდ ახლა მიაღწია, თუმცა ბრინჯაოს მედალი ჯერ კიდევ მოსკოვის ოლიმპიადაზე მოიპოვა. შარშან მან უამრავ ტურნირში გაიმარჯვა და ჟურნალისტებმა სამართლიანად დაასახელეს წლის საუკეთესო სპორტსმენად (ქალთა შორის). თვითონ ოტი



ამბობს, რომ გრძნობს ძალების მოზღვავებას და შესაძლოა დაუსწრებული დუელიც კი გაუმართოს თვით ფლორენს გრიფიტ-ჯოინერს, უფრო სწორად — მის პირდაპირ ფანტასტიკურ შედეგებს.

ყველაფერთან ერთად იამაიკელი მორბენალი მშვენიერი გარეგნობითაც გამოირჩევა, რაც აშკარად უწყობს ხელს მის პოპულარობას. შარშან მას ოფიციალურად მიანიჭეს „მის სპორტის" ტიტული.

მერლინ ოტიმ ეს სპორტული სეზონიც წარმატებით დაიწყო; ჯერ გაუმჯობესა, შემდეგ კი გაიმეორა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე რბენაში (22,24) და გაიმარჯვა სევილიაში, მსოფლიო ჩემპიონატში.

# პროფესიონალი „მოყვარულთა" შორის

ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ კალათბურთში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობას დაიბრუნებს. ამ პოპულარული თამაშის სამშობლო ბარსელონის ოლიმპიადაზე გზავნის ამერიკული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ძლიერ გუნდს, რომელიც შინ ტრიუმფით უნდა დაბრუნდეს. ამ ოცნების სისრულეში მოყვანას ხელი უნდა შეუწყოს ნბა-ს კლუბის „დეტროიტ პისტონსის" მწვრთნელმა ჩაკ დეილიმ, რომელიც უხელმძღვანელებს აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების მომზადებას.

ამერიკის კალათბურთის ფედერაციის ახეთი გადაწყვეტილება იმან გამოიწვია, რომ პროფესიონალებს ახლა პირველად მიეცათ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადისთვის მოემზადება აშშ-ის გუნდი, რომელიც მთლიანად ამერიკის პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავებით იქნება დაკომპლექტებული.

ჩაკ დეილის, ვიდრე კონკურსს გაივლიდა და ამ ადგილზე დაინიშნებოდა, მწვავე კონკურენციის გადატანა მოუხდა. მისი მეტოქეები იყვნენ საქვეყნოდ აღიარებული მწვრთნელები — ლენი ბრაუნი „კლივლენდ კავალერსიდან", კოტონ ფიცსიმონსი „ფენიქს სანსიდან", ლარი ბრაუნი „სან-ანტონიო სპერსიდან". მაგრამ უპირატესობა მიენიჭა დეილის, რომელსაც ივლისში 61 წელი უსრულდება. ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. დეილის ხელმძღვანელობით დეტროიტელთა საშუალო გუნდი რვა წელიწადში ნბა-ს ვარსკვლავად იქცა. მან დაჩრდილა პროფესიული კალათბურთის ნამდვილი გრანდები — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" და „ბოსტონ სელტიქსი". ბოლო სამი წლის მანძილზე დეტროიტელები სამჯერ გავიდნენ ნბა-ს ჩემპიონატის ფინალში და ორჯერ გაიმარჯვეს კიდეც.

1992 წლის ოლიმპიადისთვის მზადებაში ჩაკ დეილის დაეხმარება სამი ასისტენტი — ერთი ნბა-დან, ორი კი სტუდენტური კალათბურთიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიური ნაკრების კარი არც მოყვარულთათვის იქნება დახურული.



ჩაკ დეილი

# მენეგინი მენეგინის წინააღმდეგ

იტალიის კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში არაორდინალური შემთხვევა მოხდა. სათამაშო მოედანზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ერთი სახელგანთქმული გვარის ორი წარმომადგენელი — 40 წლის დინო მენეგინი, ახლოს წარსულში იტალიის ნაკრების ლიდერი და მისი შვილი, 16 წლის ანდრეა. კლუბი „სტეფანელი", სადაც ამჟამად უფროსი მენეგინი თამაშობს ბარეზეში შეხვდა ადგილობრივ „რენჯერის" და დაამარცხა იგი ანგარიშით 93:89. სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაშია უმცროსი მენეგინი. ეს მისი დებიუტი გახლდათ. ანდრეამ სულ ექვსი წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ საკმაოდ კარგად ითამაშა.

შვილის თამაშით, ეტყობა, მამაც კმაყოფილი დარჩა. უმცროსი მენეგინის სიმაღლე ახლა ორი მეტრია, მაგრამ დინოს აზრით იგი კიდევ გაიზრდება, ეს კი ბევრად გაზრდის მის შესაძლებლობებს.

— იმისათვის, რომ მამაჩემის თამაშის დონეს მივაღწიო, ათი წელი მაინც დამჭირდება — ამბობს ანდრეა. — საერთოდ კი, ჩემი ოცნებაა „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში თამაში.

— ამისათვის დიდი შრომაა საჭირო. ჩემმა შვილმა თვითონ გააკეთა არჩევანი და თუ უნდა, რომ დიდ შედეგებს მიაღწიოს, მთელი გულით უნდა ემსახუროს კალათბურთს. პირადად მე კი ვთვლი, რომ მან კარგი განათლება უნდა მიიღოს. — ასეთია დინო მენეგინის აზრი.

ანდრეა პირველ ნაბიჯებს აკეთებს დიდ სპორტში. რაც შეეხება ვეტერანს, მისი თამაში კვლავაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს, იგი კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩება და საკმაოდ შედეგიანია. სწორედ მისი ოსტატობის წყალობით იბრძვის „სტეფანელი" ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესოთა ხუთეულში მოსახვედრად.




დინო მენეგინი (მარჯვნივ) და ბობ მაკადუ 1988 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში გამარჯვებას ზეიმობენ („ტრეისერი" მილანი — „მაკაბი" ტელ-ავივი 90:84).

## აქეთური... იქითური...

„მანჩესტერ იუნაიტედის" ... მცველი ნილ უები ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ... მფლობელთა თასის ... თხედფინალის განმეორებით შეხვედრაში საფრანგეთის „მონპელიესთან", რომელიც სამშაბათს, 19 მარტს გაიმართება.

■ ■ ■

„ბარსელონა" მოლაპარაკებას აწარმოებს გუნდის მეკარესთან ანდონი სუბისარეტასთან. კლუბს სურს ხელშეკრულება 1996 წლამდე გააგრძელოს.

■ ■ ■

24 აპრილიდან 4 მაისამდე იაპონია უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს მაგიდის ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაზე ქუვეითელი სპორტსმენებიც იასპარეზებენ. ეს პირველი დიდი ტურნირია, სადაც ამ ქვეყნების სპორტსმენები გამოვლენ მას შემდეგ, რაც დამთავრდა ომი სპარსეთის ყურეში.

■ ■ ■

ბორის ბეკერმა უარი თქვა თავის ავსტრალიელ მწვრთნელ ბობ ბრეტთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე. მათი სამწლიანი თანამშრომლობის ვადა 15 თებერვალს დასრულდა. ცნობილმა ჩოგბურთელმა თავი შეიკავა თავისი გადაწყვეტილების კომენტარისგან, მაგრამ აღიარა, რომ თავის მწვრთნელად სურს ჩეხოსლოვაკიელი ნიკი პილიჩის ხილვა.

■ ■ ■

იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მომავალ ზაფხულს პორტუგალიაში ჩატარდება, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა საერთო გუნდით გამოვა. მხარეების მოლაპარაკებით გუნდში ორივე ქვეყნიდან 9-9 ფეხბურთელი გამოვა.

■ ■ ■

მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში (72 კგ-მდე წონით კატეგორიაში) ინგრიდ ბერგმანსი აღიარებულია ბელგიის ყველაზე პოპულარულ ქალად ქვეყნის დედოფლის შემდეგ. ამას წინათ ინგრიდ ბერგმანსი გათხოვდა. მისი მეუღლეა ასევე ძიუდოისტი, ბელგიის ნაკრების წევრი მარკ ვალო.

■ ■ ■

აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების წევრი ბირთვის კვრაში ჯიმ დერინგი, რომელიც გასულ წელს მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე იყო, მხილებულია დოპინგის ხმარებაში. ამერიკის ათლეტთა კავშირმა სპორტსმენს ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცა, რითაც 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადაში მონაწილეობის ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

■ ■ ■

ალბერვილის მერიამ და კომპანია „კოკა-კოლას" ხელმძღვანელობამ დადეს ხელშეკრულება 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებასა და ჩატარებაში პარტნიორობის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს სავოიას დეპარტამენტში ტურიზმის განვითარებას. მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი სწორედ ამ დეპარტამენტში მდებარეობს.

■ ■ ■

იტალიური ჟურნალი „გუერინ სპორტივო" ტრადიციულად ასახელებს ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელს სეზონის შედეგების მიხედვით. გამოკითხვაში დასახელებულ ფეხბურთელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 24 წელს. მიმდინარე ციკლში ქულათა უდიდესი რაოდენობა ჩემპიონით ტურინის „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა რობერტო ბაჯომ მოაგროვა.

აქეთური... იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.26.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 36-36-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშტარიას ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჟღენტი.